8362

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSYA GRUZINSKOY SSR

სამშაბათი 4 ნოემბერი 1941 წ. № 261 (6266) ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებიც გმირულად იცავენ სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებასა და სიცოცხლეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან!

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან)

მოსკოვისათვის, სამშობლოსათვის!

აი უკვე თვეა, რაც გაადფრთხილა ბრძოლა სწარმოებს მოსკოვის მისადგომებზე. ჩვენი მშობლიური დედაქალაქისაკენ მომავალ გზებზე მტერმა მუშტად შეკრა დიდი მექანიზებული ძალები. ბედის სასწორზე მან სერიოზული ძალები დაყარა. გერმანელ დამპყრობთ ეგონათ, რომ ლახვარი, რომლის ჩაკვმასაც ისინი ოქტომბრის პირველ რიცხვებში ლამობდნენ, „გადამწყვეტი ალმოჩნდებოდა“. გერმანიის სარდლობა ერთხელ კიდევ მოსტყუვდა ანგარიშში. მთელი თვეა სასტიკი და მედგარი ბრძოლა სწარმოებს ყოველი მტკაველი მიწისათვის.

ფაშისტთა ჯარებმა თავიანთი შემოტეხვის პირველი ორი კვირის განმავლობაში შესძლეს ჩვენი ჯარის ნაწილების შევიწროება. მაგრამ ეს წინსვლა მათ ძვირად დაუჯდათ. ჰიტლერმა მოსკოვის მისადგომებზე დაჰკარგა მრავალი ტანკი და ქვემეხი, თვითმფრინავი და ავტომობილი, ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შეუძლათ ევროპაში ნაძარცვი ნეღლეულით და მოწყობილობა გამოიყენონ და ამ გზით ახალი ტანკები და თვითმფრინავები გამოუშვან. მაგრამ ჰიტლერს ხალხი სულ უფროდაუფრო ნაკლები რჩება, ქარხნებში მისი ადგილები კი შეუძლებელია. თავისი დანაკლისის მიუხედავად, მტერი კვლავ მოძარავს, ახალ ჯარისკაცებს ჰაზავნის ომის ცეცხლში. იგი სასწორზე სდებს ყველაფერს, ოღონდ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწიოს ზამთრამდე. ჰიტლერის გერმანია ვერ გაუძლებს ხანგრძლივ ომს, როცა სულ უფროდაუფრო უარესდება მისი ჯარების ფეხიკური და მორალური მდგომარეობა და სულ უფროდაუფრო ძლიერდება ზურგის მერყეობა.

გერმანელი იმპერიალისტები კვლავ მოსკოვისაკენ მოიწევიან. ისინი ახალ შემოტევას ამზადებენ, მოპყავთ რეზერვები. მაშასადამე, ჩვენ მოსკოვისათვის ყველაზე სერიოზული და დაძაბული ბრძოლების ნაბანი შევდგართ. მტერი შეეცდება გაარღვიოს ჩვენი თავდაცვის ხაზი, იმისათვის იგი ყურის თავს ახალ ძალებს მოსკოვთან. მოეთაესკენ, მალოიაროსლავეცისკენ, ვოლოკოლამსკისა და კალინინის მიმართულებათა ყველა ჩვენი მებრძოლის წინაშე, ყველა მუშმის წინაშე, რომლებიც მოსკოვის მისადგომებს იცავენ, ახლა უდიდესი ისტორიული ამოცანა დგას — გაუკალვადნენ ჰიტლერელთა ურდოების ამ ახალ შემოტევას და რკინისებური სიმტკიცით, მამაცობითა და თავდადებით დაუხვდნენ მას.

არცერთი ნაბიჯი უკან! თვითეულმა ადამიანმა, რომელიც მოსკოვში იმყოფება, თვითეულმა მებრძოლმა და მეთაურმა, რომელიც ზეფუძეს იცავენ დედაქალაქისაკენ მომავალ გზებზე,—ერთობლივ უნდა შეიჯნონ მოსკოვთან წარმოებული ბრძოლების დიდი ისტორიული მნიშვნელობა. მოსკოვის მედგარი და ინტენსიური დაცვით უნდა გავაკმეტვეროთ და გავაქარწყლოთ ჰიტლერელთა ბანდების გეგმები. მოსკოვის დაცვით ჩვენ კიდევ უფრო შეეასუსტებთ მტრის ძალებს, კიდევ უფრო გავაუარესებთ გერმანიის ჯარების ზურგის მორალურ მდგომარეობას. ჩვენ გულადი კონტრდარტყმებით, სწრაფი და ფიცხელი კონტრმანევრებითა და მტაკიეკ კონტრიერიშებით უნდა მოვქანცოთ და სისხლისაგან დავცალოთ ფაშისტთა არმია, მოსკოვის მახლობელ მიწაზე სამარე გავუთხაროთ გერმანელთა ახალ დივიზიებს. მშობლიური მოსკოვის მამაცური დაცვით ჩვენ გამარჯვების გზას ვეფენებთ ყველა ჩვენს ჯარებს, რომლებიც დიდი სამამულო ომის სხვა ფრონტებზე იბრძვიან. აცოთია ამკამად წარმოებული და მომავალი ბრძოლების დიადი აზრი.

ჩვენი ხალხი ახლაც და მომავალშიც სიამყოთ მოიგონებს იმათ სახელს, ვინც ლღვანდელ დღეს მოსკოვისათვის იბრძოდა და მას იცავდა. არქტიკის ყინულებში, ციმბირის ტრამალებში, შორეული აღმოსავლეთის ტაიგასა და ურალის მთებში, რრდილოეთის სუსხიან ზღვებში, საბჭოთა სამხრეთის მზიერ რესპუბლიკებში — ყველკან, სადაც მრავალი ზრუნვითა და სიძნელით იქმნებოდა ახალი ცხოვრება, სადაც ახალი ქარხნები, კოლმეურნეობანი და ქალაქები შენდებოდა, მოსკოვი ყველკან გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იყო! მოსკოვი არა მარტო ჩვენი დედაქალაქი და არა მარტო ჩვენი საყვარელი წმინდა ქალაქია, ყოველ საბჭოთა ადამიანს მოსკოვში თითქოს დატოვებული აქვს მისი გულის რაღაც ნაწილი, მისი ოცნება. მოსკოვის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანის საუკეთესო გრძნობები. ეს ამიტომ არის, რომ ამ მრისხანე საშიშროების ჟამს, გააფთრებული ბრძოლების ჟამს მოსკოვთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხი. მთელი ჩვენი ხალხის თვალი მიპყრობილია მოსკოვის მახლობელი მიწა-წყლის დაცვას. დღე, წარმოიშვას ათასობით გმირი მოსკოვის დაცვისა. ისინი ახალ ათასობით მეომრებს აღაფრთოვანებენ.

ახლა დადგა მომენტი, როდესაც მთელი ძალღონე, მთელი ნებისყოფა უნდა მოვიკრიბოთ და ეს ძალოონე და ნებისყოფა უნდა დაეუპარისპიროთ ფაშისტ ყაჩაღთა შემოტევას. მაშინ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, და ჰიტლერი ვერასოდეს ვერ წაბილწავს მოსკოვის წმინდა ქუჩებს, იგი ვერასოდეს ვერ დაადგამს ფეხს კრემლის ეკლესიებთან! ჩვენ ვიხსნით ჩვენს ოჯახებს ძალადობისა და სირცხელისაგან, ჩვენს შვილებს დაღუპვისა და ჩაგრისაგან, და ამით დასაბამს მივცემთ იმას, რომ განდგურებულ იქნას ჰიტლერიზმი —XX საუკუნის ეს საშინელი ჭირი, რომელიც ემუქრება მთელი კაცობრიობის თავისუფლებას, ბედნიერებასა და მშვიდობას.

„პრავდის“ მოწერილობა, 3/XI

ომიანობის დროის ფეშკეშებით შეეასრულოთ თესვის გეგმები

Дიდი სამამული ომის ღლეებში საქართველოს კოლმეურნეობები და მტს-ები გაცხოველებით მუშაობენ საშემოდგომო თესვის წარმატებისათვის.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეჰპრქნეს ყველა პირობა იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა მინდვრის საშემოდგომო სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულებით უზრუნველჰყონ 1942 წლის კიდევ უფროო ჩინებული მოსავლის მიღება, ვიდრე წელს მიიღეს. წელს შემოდგომაზე მარტო ქართლის რაიონებში ითესება 15.800 ჰექტარით მეტი, ხოლო კახეთის რაიონებში—16.910 ჰექტარით მეტი პურეული, ვიდრე შარშან დათესა. სულ რესპუბლიკაში დათესა 36.000 ჰექტარით მეტი პურეული. გარდა ამისა, წელს შერჩეული და მაღალხარისხოვანი ჯიშის თესლით დათესება 24.251 ჰექტარით მეტი ფართობი, ვიდრე შარშან.

ბევრი კოლმეურნე და ტრაქტორისტი მუშაობს ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრების — ორისა და სამის მაგვარად, იძლევა შრომის მაღალნაყოფიერებას. ობილისის რაიონის სოფ. ლღვანის ფრონზეს სახელობის კოლმეურნეობაში მოხუცი წევრი გ. ლორთქიფანიძე და ოგრეოს ხელმძღვანელი ვ. ქერქაძე, რომელსაც სამი ვაჟი წოდეთ არმიაში ჰყავს, აგრეთვე ფეფო ფეიქრიშვილი და სხვ. ხვნა-თესვის დღიურ ნორმებს 200 პროცენტით ასრულებენ. მსგავსი ფაქტები მრავალია როგორც ობილისს, ისე სხვა რაიონებში.

წინასწარმეტყველური სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე საშემოდგომო თესვის გეგმები უკვე გადაჭარბებით შეასრულეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა და ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ხაშურის, ბაშკიჩეთის, დუშეთისა და ორჯონიკიძის რაიონებმა. ასპინძის რაიონში გეგმის გადამეტებით დათესეს 313 ჰექტარი პურეული, ორჯონიკიძის რაიონში ჯერ კიდევ 25 ოქტომბრისათვის — 309 ჰექტარი. გარდა ამისა, ასპინძელმა კოლმეურნეებმა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდისათვის დასთესეს 110 ჰექტარი. მარტო ახალციხის რაიონში შარშანდელზე გადაჭარბებით დათესილია 2.600 ჰექტარი და თესვა კვლავ გრძელდება. სულ რესპუბლიკაში 1 ნოემბრისათვის უკვე დათესილა 42.979 ჰექტარით მეტი ფარობი, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის იყო დათესილი. თესვას ამთავრებენ ბორჯომის, ახალციხის, თიანეთის, ჯორის, საჩხერის, ამბროლაურის და სხვა რაიონები.

ომიანობის მდგომარეობა, სასტიკი ბრძოლა, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა ეწევა ვერაგი მტრის ზიხაოდმდეგ, სამშობლო, ფრონტი თვითეული საბჭოთა პატრიოტისგან მოითხოვს მთელი ძალების დაძაბვას, შეუნელებელ თავდადებულ მუშობას, რათა ყოველდღიურად მივდწეოთ საუკეთესო შედეგებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველგან როდი ითვალისწინებენ ამ გარემოებას. ყველა რაიონს და კოლმეურნეობას მოლითნად არ გამოუყენებია თავისი შესაძლებლობა საშემოდგომო თესვაში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ადამიანს ამოიწურა, ყვარლის რაიონში დათესილია გეგმის მხოლოდ 47,9 პროცენტი, ლუქსემბურგის რაიონში—45, საგარეჯოს—48,9 პროცენტი და სხვ. ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიოგორაში“ ხვნა-თესვაზე მოლიანად ღღემდე არ გამოუყენებია მუშაპირუტყვი, ფარეთობს ჩალის ღერეთებისაგან გაფუშენდავად და ცუდი ხარისხით ხნავენ. როგორც აღნიშნულ კოლმეურნეობაში, ისე ამავე სოფლისა და სოფ. წიწყანაანთელიანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში, სოფ. გავაზის კოლმეურნეობა „გასთავაღში“ და სხვ. სათესლეზე არ შეუკეთებიათ და თესლადოდ არ გაუმართავთ, არის თესლის დანაკარგები — ნაცვლად დაწესებული 1,7 ცენტნერისა ჰექტარზე თესავენ 2 ცენტნერი და ზეიოდ მეტიც. ყვარლის რაიონის აღნიშნულ კოლმეურნეობებში, მიუხედავად ამისა, რომ კულტივატორები და საოში გუთნები აქვთ, ხშირად ხნულს თესვის წინ უწერთხავენ ახუ მთელ სიღრმეზე ამუშავებენ, რაც იწვევს სარეველების—შალაფას, შვრიეულის და სხვ. თესლების ზევით ამოტანას და განვითარებას. აქვე სათანადოდ არ არის გამოყენებული რკინის ფარცხები — ტრაქტორებზე ხშირად ბიბამულია ხის ფარცხი (ალდი), რაც დაუშვებელია.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რაიმიწგადნებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ეკალთან უზრუნველყონ თესვის გეგმების დაჩქარებით და უნაკლოდ შესრულება. მთავარია შრომის მოწესრიგება. ფართოდ გამოვიყენოთ ქალთა შრომა. სწორად გავანაწილოთ და მიზანშეწონილად გამოვიყენოთ მუშახელი, სწორად შეეთავსოთ თესვასთან სხვა სამეშაოები: მზრალად ხვნა, მოსავლის აღება, საკვების დასილოსება და სხვ. ეაქსიმალურად დაეტვირთოთ გამწეები ძალა, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური აკადიანების ნებისყოფას გამარჯვებისაკენ!

ომიანობის დროის საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 ნოემბრის დილის ცნობა

1 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან ყველა ფრონტებზე.

* * *

ერთმა ჩვენმა ჯარის ნაწილმა, რომელიც დასავლეთის ფრონტზე მოქმედებს, 1 ნოემბრის მოსპო გერმანიის ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი, 11 ტანკსწინააღმდეგო ქვემეხი, ხელთ იგდო 20-ზე მეტი ტყვიამფრქვევი და დიდძალი ყუმბარა და ვაზნა.

* * *

ამხ. ვოროშინინის ავიანაწილის მფრინავებმა, რომლებიც სამხრეთის ფრონტზე მოქმედებენ, მოსპეს მტრის 16 ტანკი, გერმანიის 100-ზე მეტი ავტომანქანა სამაჯარი მასალითურთ, ქვეითი ჯარის 700-ზე მეტი კაცი, 9 საზენიტო ქვემეხი და რამდენიმე საზენიტო ტყვიამფრქვევი.

* * *

სომამაცისა და ვოლადობის ნიშეში ვეიჩვენა მაირი პუტენის ჯარის ნაწილის წითელარმიელმა ამხ. კოსტიუშკომ. როდესაც მტერი ჩვენი თავდაცვის ერთერთ უბანს უშენდა, მტრის ყუმბარა მოხვდა ბლინდაჟს, სადაც საომარი მასალა იყო. დაიწყო ხანძარი, რომელსაც შეეძლო მთლიანად მოესპო ყუმბარები. წითელარმიელი კოსტიუშკო შეეპარდა ბლინდაჟში და ცეცხლწაკიდებულ ყუმბარს სილის დაყრა დაიწყო. ჭრილობის მიუხედავად, მამაცმა მებრძოლმა ღირსეულად შეასრულა თავისი ვალი. ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა.

* * *

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებიც ფაშისტების მიერ არის ოკუპირებული, პარტიზანები ყოველდღე ესხმიან თავს ფაშისტთა ქვეგანაყოფებს, მტრის კომუნიკაციებსა და ტრანსპორტებს. პარტიზანული რაზმი ამხ. ვ-ს მეთაურობით უეცრად დაესხა თავს თეთრფინელთა აღილს. პარტიზანებმა მოსპეს 15 თეთრფინელი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს სავლე ფოსტა, 2 საზიდი ოფიცრთა და ჯარისკაცთა ტანსაცმლითურთ. პარტიზანებმა არაერთხელ გადაჭრეს სატელეფონო-საკაბელო ხაზი. რაზმმა ამხ. ვ-ს მეთაურობით ამ დღეებში ბრძოლაში მოსპო მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი. თეთრფინელთა ასეული, რომელიც ქვეითად მიდიოდა ფრონტის მიმართულებით, ტყეში გაჩერდა შეასვენებლად. პარტიზანებმა ალყა შემოარტყეს თეთრფინელებს და ალოდ აუტეხეს იმ მომენტში, როდესაც ჯარისკაცები სადილს მისაღებად ჩამწკრივდნენ რიგში საველე სამზარეულოსთან. ამავე რაზმმა ოქტომბრის მეორე ნახევარში აიფეთქა საწვავის 2 ბაზა, საწყობი საომარი მასალითურთ და ცეცხლი წაუკიდა საწყობს, სადაც ზამთრის ტანსაცმელი იყო. პარტიზანები გაძლიერებით ემზადებიან ზამთრის პირობებში ბრძოლისათვის. ისინი ამზადებენ თბილ ტანსაცმელს, ათბუნებენ ბანაკს, იმარაგებენ თხილამურებს.

* * *

დიდი წარმატებით მიმდინარეობს წინასაკუმბრო შეჯიბრება მთიან ბადაბშანის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში (პამირი), კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის, ბოსტეიულის, კარტოფილის, ხორცის, ერბაკრაქის, ბრინჯაოს, მატყლის, ტყავისა და თივის ჩაბარების წლიური გეგმა და შეუდგნენ სახელმწიფოსათვის ჭარბი პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვას. მარტო შუაბინის რაიონის კოლმეურნეობებმა ასობით ტონა ბოსტეიული და ფურაჟი მიაყიდეს სახელმწიფოს. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიაყიდა 120 ტონა კარტოფილი, კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ — 30 ტონა. ბევრ კოლმეურნეობას გაყიდვისაგან მიღებული თანხა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეაქვს.

მთიანი ბადაბშანის კოლმეურნეობებმა მთლიანად დაამთავრეს საშემოდგომო თესვა. რუშანში საშემოდგომო ნათესის ფართობი გადიდებულია 150 ჰექტარით, ვანჩში — 170 ჰექტარით. პირველად დაათესა საშემოდგომო კულტურები იშკაშიმის რაიონის ანფრობისა და კოზიდინის საყიმლაღო საბჭოებში. ოლქში საშემოდგომო ნათესები საუცხოო მდგომარეობაშია. უკვე ამოსულია საშემოდგომო ხორბლის ჯეჯილი. უკვე ათობით კოლმეურნეობა მიხდარის სამუშაოს მორჩა და საინიგაციო ქსელისა და გზების რემონტს შეუდგა.

2 ნოემბრის საღამოს ცნობა

2 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან ყველა ფრონტებზე.

* * *

ფრონტის ტულის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენი ჯარის ნაწილებმა 1 ნოემბრის ღამის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 40 ტანკი და სულ ცოტა 500 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამხ. პროკოფიევისა და ხარტოტნოვის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც სამხრეთის ფრონტზე მოქმედებენ, ერთი დიდი ბრძოლის განმავლობაში მოსპეს ფაშისტთა 12 ტანკი, 15 ავტომანქანა სამაორი ტეგორთებითურთ და გერმანელთა 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი, ხელთ იგდეს გერმანელთა 16 ტანკი და 10-ზე მეტი ქვემეხი და ნაღმსტყორცნი.

* * *

2 ნოემბერს კალინინის ფრონტზე მოქმედმა ჩვენმა ავიანაწილმა გაანადგურა მტრის მოტოქვეითი ჯარის დიდი კოლონა და მოსპო 35-მდე ავტომანქანა მტრის ქვეითი ჯარითურთ, 2 ცისტერნი საწვავი და 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილების განაგებაში სპეციალური დავალებით გადმოვიდა კიევის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმის მონაწილე ამხ. ე. ამხ. ე-მ ილაპარაკა ბერეთა ბრძოლაზე სამშობლოს მოღალატეთა — ფაშისტი ბანდიტების მიერ დაყენებულ აგენტთა წინააღმდეგ. სოფელ გოროლევკაში გერმანელებმა მამასახლისად დაასვენეს ადგილობრივი კულაკის ძალი პეტენინოსი. მან ხელთ იგდო მიწის დიდი ნაკვეთები, ბლეხებს ქონება და პირუტყვი ჩამოართვა. ერთხელ ბლეხებმა გამაცემი ტყვეი დიაშერეს. მას სწრაფად გაუსწორდნენ. ბლეხებმა მოღალატე ხეზე ჩამოახრჩვეს. სოფელ პოკროსკოეში გარეულ ფაზკარაში ესროლეს და მოკალეს სერგიჩენკო, რომელიც გერმანელთა მიერ დანიშნული იყო ადგილობრივ საბჭოთა პოლიციური რაზმის უფროსად. სოფელ ივანოვკაში მოკლეს ნის განმავლობაში ხეიდზე მოკლულ ექნა 3 გამცემი, რომლებიც დათანხმდნენ სოფლის მამასახლისებად დამდგარიყვნენ და გულმოდგინედ ასრულებდნენ ფაშისტთა ბრძანებებს. ამის შემდეგ მთელ ოლქში არ აღმოჩნდა არცერთი ისეთი კაცი, რომელიც მამასახლისად დადგომას დათანხმებულიყო. ბლეხები ცეცხლს უკიდებენ გამცემთა სახლებს, სპობენ მსოს პირუტყვსა და ქონებას.

* * *

დანის პატარა ქალაქ ოლბორგში გაფიცვებმა იფეთქა შარის ქარხანასა და საფეიქრო ფაბრიკაში, რომლებიც გერმანის არმის დაკვეთებს ასრულებენ. ამაო აღმოჩნდა გერმახელთა პოლიციის ცდა—ვანდეგენა გაფიცულნი საწარმოებიდან. სასწლისმდგრელი შეტაკების შედეგად მოკლული და დაჭრილია 9 გერმანელი და რამდენიმე ათეული მუშა. როგორც ახლა გამორკვა, ოქტომბრის განმავლობაში გაფიცვები მოხდა მრავალ სხვა საწარმოშიც, რომლებიც გერმანიის დაკვეთებს ასრულებენ. დანიელი პატრიოტები ყოველნაირად უშლიან ხელს გერმანელ ხელისუფალთა ღონისძიებებს, რომელნიც ცდილობენ კვნის ყველა პროდუქტი გაიტანონ დანიიდან. ოქტომბერში ოდენსა და კოპენჰაგენის რაფინადის დიდ ქარხნებში პროდუქციის გამოშვება, სუქტემბერთან შედარებით, 15 პროცენტით შემცირდა, ორგეესის სპირტის ქარხანაში და მიდლთარტის მაუფულის ქარხანაში — 20 პროცენტით. ქალაქ ბადორგის ძმლოობლად დაიმტერა ბატარეელი, რომელიც გერმანიაში მიდიოდა. კატასტროფის მიზეზი რკინიგზის ეაკისის განზრახ გაფუჭება. მოსპობილია კონსერვითა და ცოცხალი პირუტყვით დატვირთული 27 ვაგონი.

* * *

ომიანობის დროის ტემპებით მუშაობენ საბჭოთა ქვეყნის ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივები და ამგვარად ამზადებენ პროდუქციას ფრონტისათვის. პეტროვსკი-ზაბაიკალსკის მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქროებმა, ოქტომბერში კიდევ გადაჭარბებით შეასრულეს სექტემბრის დავალება, ოქტომბერში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს. სამხსნელო საამქროს 26 ოქტომბრისათვის შეასრულა. ორასოვანთა რიცხეი საამქროში ერთნახევარჯერ გადიდდა. მორდვეთის ასს რესპუბლიკის ერთ-ერთი მანქანათმშენებელი ქარხანა ომამდე ჩამორჩენილი იყო. ახლა ქარხნის კოლექტივი, რომელმაც სამხედრო დაკვეთები მიიღო, ორმაგი გადაჭარბებით ასრულებს პროგრამას. შირინგუშის მაუდის ფაბრიკაში მუშების დიდი უმრავლესობა ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს. ფეიერნში 2-3 დაზგას უწევენ მომსახურებას და სტახანოვური შრომის ნიმუშებს ვვიჩვენებენ. 2 უკანსასკნელი თვის განმავლობაში ფაბრიკამ 300 ათასამდე მანეთი ეკონომია მიიღო. კონსერვისა და ხორცის კომბინატებმა არმიის მოსამარაგებლად საჭირო პროდუქციის ახალი ასორტიმენტი ათვისეს. ხორცის კომბინატმა გასულ წელთან შედარებით უკვე 240 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა.

2 ნოემბრის საღამოს ცნობა

2 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან ყველა ფრონტებზე. განსაკუთრებით გაადფრთხილეთ ბრძოლები იყო ფრონტის ყირიმის უბანზე.

1 ნოემბერს მოსპობილ იქნა გერმანელთა 23 თვითმფრინავი. ჩვენ 8 თვითმფრინავი დაკარგეთ.

2 ნოემბერს მოსკოვთან ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

* * *

31 ოქტომბერს ჩვენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა 80 ტანკი, 535 ავტომანქანა მტრის სამაორი მასალითა და ქვეითი ჯარითურთ, 30-მდე ქვემეხი, 20-ზე მეტი საზენიტო ტყვიამფრქვევი, გაპფანტა და მოსპო 2 პოლკზე მეტი გერმანელთა ქვეითი ჯარი.

1 ნოემბერს დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე ჩვენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა 25 ტანკი, 10 ჯავშნიანი მანქანა, 350 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და სამხედრო ტვირთითურთ, შტაბის 11 თვითმფრინავი და დაზიანებულია 9 თვითმფრინავი.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები კვლავ სძარცვავენ და ჰკლავენ ოკუპირებული რაიონების მშვიდობიან მოსახლეობას. სოფელ აკიმოკკის ხელში ჩაგდების პირველ ღღესვე ფაშისტებმა დაჭრიტეს ნიკოლოზ მიხაილოვი, ეფიფი უშაკოვი, მისი 12 წლის ქალიშვილი და ინვალიდი ბურეკვი. რამდენიმე ღღის შემდეგ ოკუპანტებმა დაჭრიტეს კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი: 70 წლის მოხუცები—იაკობ რომანენკო და პეოხორ გორგაშოვი, 60 წლის ალეკსანდრე კოვალიოვი, ანა მუსკოვა და სხვები. მხეცურად შეურაცხყეეს ფაშისტმა არამზადებმა აგაფოროვკა. მათ იგი გააუპატიურეს, ხოლო შემდეგ საშინლად აწამეს, ძუძუები დაუჭრეს, მთელი სხეული დაუჩხვლიტეს. ფაშისტმა მტარვალებმა აგაფონოვას მეინეწულოვნი ბავშვებიც კი არ დინდეს. წასულ წინ ჰიტლერელმა ბანდიტებმა მოაკლეს მისი 4 წლის ვაჟი ვასია და 2 წლის გოგონა შურა. სოფელ ბრატლოდობოკაში გერმანელები და რუმინელები მასობრივ ჩხრეკას აწყობენ ძარცვის მიზნით.

* * *

გერმანელი ფაშისტების მიერ ფინეთის მოსახლეობის ძარცვა და აბუჩად აგდება სულ უფროდაუფრო მეტ აღშფოთებას იწვევს ფინეთის მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა შორის. გერმანელებსადმი სიძულვილი ზოგჯერ აშკარა გამოსვლებით გამოიხატება. ტყე ფინელი ჯარისკაცები გადმოგვეკითხენ, რომ ამისაკენ ჰელსინკში შეიარაღებული შეტაკება მოხდა გერმანელებსა და ფინელებს შორის, რის შედეგადაც მოკლულ იქნა 2 გერმანელი ჯარისკაცი.

ფინელი ჯარისკაცებისაგან სულ უფროდაუფრო ხშირად გაიგოხენ ასეთ განცხადებას: „უკვე ეროა გავიგოკთ ფინეთიდან გერმანელები. ისინი ჩვენში ისე იქცევიან, როგორც თავიანთ სახლში. ისინი თვითონ არასოდეს არ წაეელნ“.

* * *

სამაშელო ომის განმავლობაში ქარხნებსა და ფაბრიკებში, მაღაროებსა და რკინიგზებზე ათიათასობით ქალი მოვიდა, რომლებმაც წეთელ ომიანში გაწეულთა ადგილზე ომში ასრულებენ. ქალები წარმატებით ეუფლებიან ნამთოვის ახალ პროფესიებს.

ასობით დიასახლისი ქალით შეივსო კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივი. ქალები დაეუფლნენ ელექტროამწის და მართვის პოსტის მემანქანის, ორთქმლათლის მემანქანის თანაშემწის, შოფერის, ელექტროკოსის და სხვა პროფესიებს. წინათ მართვის პოსტის მემანქანედ მეტწილად მამაკაცები მუშობდნენ. ახლა ამ მუშობას წარმატებით უძღვებიან ათობით ქალები — პორტნიაგინა, ზახაროვა, მოჩაჩინა, ნიკიტინა და მრავალი სხვანი. ორთქლის ტურბინის მემანქანეთა შორის ომამდე არცერთი ქალი არ იყო. ახლა მუშა ქალებმა—ერმაკოვამ, გროხოტოვამ და სხვებმა წარმატებით ათვისეს ეს კვალიფიკაცია და საუცხოოდ ასრულებენ მემანქანის მოვალეობას. ათობით ქალი—გუშინდელი დასასხლისები ცვლაში ორსა და უფრო მეტ ნორმას ასრულებენ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის სახალხოსაბჭოში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხოსაბჭომ, მუშრომელთა სურვილს თანახმად, დაადგინა დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავის დღესასწაული ჩატარებულ იქნას მხოლოდ ერთი ღღის — 7 ნოემბრის განმავლობაში, 8 და 9 ნოემბერი კი სამუშაო ღღეებად ჩათვალოს.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

კომისარი ბრძოლაში

სამხრეთის ფრონტი, 2 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). კომისარი ჩვენი საბრძოლო ნაწილების სული და გულია. ჰიტლერელი ბანდიტების წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ყოველი დღე ამრავლებს გმირი კომისრებისა და პოლიტმუშაკების რიგებს.

სოფელ რ-სათვის ბრძოლაში მტერმა არაერთხელ სცადა გარს შემორტყმოდა და გაენადგურებინა № დივიზიის შტაბი. ბოლოს მან მოახერხა გაჭრილიყო შტაბის ადგილსამყოფელისაკენ. ამ კრიტიკულ მომენტში პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე, კომკავშირის ხაზით, პოლიტხელმძღვანელი იუდიცკი სათავეში ჩაუდგა 12 მებრძოლს, უახლოეს ტანკში ჩაჯდა და გაბედულად ეკვეთა ფაშისტებს. ამ მამაც მებრძოლს დროზე მოეშველნენ სხვა ტანკები და ქვეითი მტრის იერიში მოგერიებულ იქნა. მოწინააღმდეგე ბრძოლის ველიდან გაიქცა.

ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ხუტორ კ-ში. ფაშისტთა ტანკები გარს შემოერტყნენ ჩვენს ქვეითს ჯარს. ჩვენს მსროლელთა ირგვლივ სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა რკალი. საქმეს მხოლოდ ტანკებზე გაბედული იერიში უშველიდა. პარტბიუროს მდივანმა სმირნოვმა მებრძოლნი გრანატების კონებით შეაიარაღა და გაბედულად წაიყვანა ტანკების წინააღმდეგ იერიშის მისატანად. უშიშრობამ და მამაცობამ გაიმარჯვა. ტანკების წინააღმდეგ ქვეითი ჯარის იერიში ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. პოლიტხელმა სმირნოვმა მსროლელთა ძირითად მასასთან ერთად ალყა გაარღვია და გამოვიდა.

იშვიათი მამაცობა და მედგრობა გამოიჩინა ბატარეის პოლიტხელმა ბონდარმა. იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდა მტერს, რომელიც მას რიცხობრივად სჭარბობდა. ბრძოლაში დაღუპულ გმირს ამხანაგებმა წერილი უპოვნეს. წერილი მოკლე იყო: „სამშობლოსათვის სიკვდილისა არ მეშინია. თქვენ კი, ჩემო ძვირფასნო, ნუ ინაღვლებთ, რადგან გმირის ქვრივობა და დედობა სჯობს ლაჩრის ცოლობასა და დედობას".

ვ. სობოლევი

ბრძოლები კალინინისათვის

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გენერალ-მაიორი ხომენკო, რომელიც კალინინის მიმართულებით მოქმედ ჯარის ნაწილებს სარდლობს, „პრავდის" ფურცლებზე კალინინისათვის ბრძოლების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

გერმანიის სარდლობის ოპერატიულ გეგმაში კალინინის მიმართულება მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ალბათ კალინინზე შეტევით გერმანელები ფიქრობდნენ დაეცვათ მარჯვენა ფლანგი თავიანთი ჯარისა, რომელიც მოსკოვისაკენ ცდილობდა გამოჭრას, მოეჭრათ ლენინგრადის ფრონტი მოსკოვის ფრონტისაგან და აღმოსავლეთიდან შეექმნათ საფრთხე ჩვენი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ნაწილებისათვის. კალინინის პლაცდარმის ხელში ჩაგდებას უნდა უზრუნველეყო გერმანელებისათვის მოსკოვზე დარტყმის განვითარება. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა კალინინის მიმართულებას, გერმანელებმა აქ დიდ ძალებს მოუყარეს თავი—41 საარმიო კორპუსის I და VI სატანკო დივიზიების, 36-ე მოტორიზებული და 122-ე ქვეითი დივიზიების შემადგენლობით. ამას გარდა აქ მოქმედებენ გერმანელთა მთელი რიგი სხვა ნაწილები.

კალინინის რაიონში ჩვენ პირველად ჯარების მეტად განსაზღვრული რაოდენობა გვყავდა. მათ მოუხდათ ჩვენი მაშველი ძალების მოსვლამდე შეეჩერებინათ ძლიერი ფაშისტური მექანიზებული ნაწილების შემოტევა. ცოცხალი ძალისა და ტექნიკის თანაფარდობა ისეთი იყო, რომ ჩვენი მებრძოლების მხოლოდ გაფთრებულ, ჭეშმარიტად გმირულ წინააღმდეგობას შეეძლო წინ აღდგომოდა ფაშისტური ჯარების გამძაფრებულ შემოტევას. მიუხედავად უპირატესობისა, მიუხედავად ამ უბანზე გერმანელთა ჯარების შედარებით დიდი ჯგუფის უეცრად გამოჩენისა, მათი პირველი იერიში, რომელზედაც გერმანელები საერთოდ დიდ იმედებს ამყარებდნენ, წარმატებით იქნა მოგერიებული.

მეორე დღეს, 14 ოქტომბრის დილით, მტერი, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენზე გაცილებით მეტი ძალები ჰყავდა, იძულებული გახდა გადასულიყო გეგმაზომიერი იერიშების მომზადებაზე.

ჩვენი ჯარების საბრძოლო წყობის წინასწარ ბომბვას უშენდა ავიაცია და ესროდა არტილერია. იერიშზე ჯერ მტრის ტანკები გამოვიდნენ, რომელთაც უკან მოჰყვა მოტორიზებული ქვეითი ჯარი, მათ შემდეგ კი ქვეითი ნაწილები.

ბრძოლა საღამოს 5 საათამდის გაგრძელდა, ჩვენი ჯგუფის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მტერმა მძლავრი იერიში მოიტანა მეზობელ უბანზე. ჩვენი მებრძოლები აქაც გააფთრებით იცავდნენ თავს და შეუპოვარი ბრძოლის გარეშე არ უთმობდნენ მტერს სივრცის არცერთ მეტრს. მაგრამ მტრის ძალა მეტად ჭარბი იყო. ორივე ჯგუფმა შეასრულა თავისი ამოცანა — შეაჩერა მტერი აღნიშნულ ზღუდეებზე, რის შემდეგ ბრძანება მიიღო უკან დაეხია. ნაწილებმა, რომლებიც თავს იცავდნენ არტილერიის ცეცხლით, გადაინაცვლეს პოზიციებზე ახალ რაიონში. მთელი იარაღი, მთელი ტექნიკა გამოტანილ იქნა ბრძოლიდან და გამოყენებულ იქნა მტერთან შემდეგ ბრძოლებში. ძირითადი შედეგი ბრძოლების ამ მოკლე ეტაპისა იმაში მდგომარეობს, რომ ფაშისტური ჯარების წინსვლა მალე იქნა შეჩერებული.

მას შემდეგ ჩვენს ნაწილებს არ დაუთმიათ არცერთი თავისი პოზიცია. მთელ რიგ უბნებზე ისინი იერიშებს აწარმოებენ. 15 დღეა მიმდინარეობს სისხლისმღვრელი შეტაკება. მთელი რიგი სოფლები რამდენჯერმე გადადიან ხელიდან ხელში. განსაკუთრებული გააფთრებით სწარმოებს ბრძოლები თვით კალინინის გარეუბნებში. ერთერთ რაიონში მტერმა დაიკავა ელევატორი და იგი არსებითად ხანგრძლივ სიმაგრედ აქცია. ჩვენი მებრძოლები თანდათანობით სპობენ ამ სიმაგრის საცეცხლო წერტებს, მწყობრიდან გამოჰყავთ მისი გარნიზონის ცოცხალი ძალა.

ტანკების წინააღმდეგ გამოყენებულია ბრძოლის ყველა საშუალება. ფართოდ იყენებენ საწვავით სავსე ბოთლებს. ყოველმხრივ ფართოვდება ბრძოლები ღამით, რომელთაც ჩვენი ინიციატივით ვუმართავთ მტერს. გერმანელები, რომლებმაც დიდი ზარალი განიცადეს, აქეთ გზავნიან მაშველ ძალებს. ახლად მოსული მაშველი ჯარები უმთავრესად შესდგებიან ავსტრიელებისაგან. ამათ გარდა მტერს აქეთ გადმოჰყავს ზოგიერთი რუმინელი და უნგრელი ნაწილები.

„ამჟამად, — სწერს დასასრულ გენერალ-მაიორი ხომენკო, — ცალკე უბნებზე გერმანელები თავდაცვაზე გადავიდნენ, ალბათ აზრად აქვთ თავიანთი ნაწილების თავმოყრა და გადაჯგუფება. უნდა ველოდეთ, რომ მტერი, რომელიც აქ თავს უყრის ჯარების დიდ რაოდენობას, კიდევ უფრო გააძლიერებს შემოტევას.

ჩვენი წმინდა მოვალეობაა არ მივცეთ მტერს საშუალება ნაბიჯი გადმოდგას წინ. დედაქალაქის მისადგომებზე ჰიტლერელთა ურდოებმა უნდა ჰპოვონ სამარცხვინო სიკვდილი".

გერმანელი ჯარისკაცები თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს

მოქმედი არმია, 2 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დასავლეთის ფრონტის სხვადასხვა უბანზე ტყვედ წამოყვანილი ჯარისკაცების ჩვენებით, ფაშისტთა ჯარის ნაწილებში დღითი-დღე იზრდება იმ ჯარისკაცთა რიცხვი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ თავი აარიდონ სამხედრო სამსახურს.

306-ე მოტომექანიზებული დივიზიის 87-ე პოლკის მე-3 ასეულის ჯარისკაცი ვერნერ ბრენერი ასეთ ჩვენებას იძლევა:

— ჯარისკაცები, რაკი ხედავენ, რომ ომი ჭიანურდება, ცდილობენ თავი აარიდონ სამხედრო სამსახურს. ჩვენში მრავლად გაჩნდნენ დეზერტირები და ასოთდამშავებლები. საველე სასამართლოები მასობრივად ხვრეტენ მათ.

— ჯარისკაცებს ძალიან ეშინიათ რუსეთის ზამთრისა, — ამბობს იმავე დივიზიის 1-ლი ათასეულის მე-4 ასეულის ტყვე ჯარისკაცი ბემე ჰელმუტი. — ჩვენ რამდენიმე დღეობით არ გვეძლევა ცხელი საჭმელი. ჯარისკაცებს მკბენარი დაეხვიათ. ზარალი დიდია. უკანასკნელ ბრძოლაში ჩვენი ათასეული მთლიანად გაანადგურეს. ყველა ჯარისკაცის ერთადერთი მისწრაფებაა — რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს შინ.

ფაშისტური არმიის ჯარისკაცთა ასეთ სულიერ განწყობილებას ადასტურებს ავიაციის სამინისტროს საიდუმლო ბიულეტენი, რომელიც ხელში ჩაგვივარდა გერმანელთა 71-ე საზენიტო დივიზიონის განადგურებისას. პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია უმაღლესი სარდლობის ბრძანება № 1125, რომელსაც ღირსშესანიშნავი სათაური აქვს: „არმიის სამხედრო ძლიერების დაშლის შესახებ". ტექსტში ნათქვამია:

„ერთმა ჯარისკაცმა რამდენჯერმე სცადა თავისი ნაწილის მალულად დაჰკავშირებოდა თავისი სამოქალაქო სპეციალობის ფირმებს, რათა ამ ფირმებს მოეთხოვათ იგი, როგორც ისეთი მუშაკი, რომლის შეცვლაც შეუძლებელია, და ამ გზით განთავისუფლებული-ყო სამხედრო სამსახურისაგან... საველე სასამართლოს განაჩენით მას 3 წლის პატიმრობა მიესაჯა არმიის სამხედრო ძლიერების დაშლისათვის... სასჯელი მას გაძლიერებული აქვს სიმულანტების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც ახლა მიმდინარეობს, და მათ დასაშინებლად. აქ საჭირო იყო მთელი სიმტკიცით გვემოქმედნა".

ბრძანებას დართული აქვს „დამატება", რომელსაც ხელს აწერს „თითონ" გერინგი:

„სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ავიაციას ეკუთვნიან, ზემოხსენებული ეცნობება, რათა მათ იცოდნენ, თუ რა სასჯელს აღებს საჰაერო ძალთა წესდება".

ყოველნაირი რეპრესიების მიუხედავად, ფაშისტთა არმიაში სიმულანტთა რიცხვი მატულობს.

ვ. არეფიევი.

მშობლიურ მოსკოვს ყველა მისი მცხოვრები ამაგრებს

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის შორეულ მისადგომებზე გრძელდება გააფთრებული ბრძოლები. როგორც „პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი პ. ლიდოვი იუწყება, მძიმე ბრძოლები შეტევაზე მომავალი მტრის ტანკებთან და ქვეით ჯართან სწარმოებს დასავლეთის ფრონტის ჩრდილოეთის უბანზე. გერმანელებმა უკან დააწვინეს ჩვენი ჯარის ნაწილებს № პუნქტში, რომელიც მრავალი დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლის ობიექტი იყო. დასავლეთის ფრონტის დანარჩენ უბნებზე ყველგან გრძელდებოდა ჩვენი ჯარების კონტრიერიშები. მეთაურ გოვოროვის ნაწილები უტევდნენ პუნქტ დ-ს და სძლევდნენ მტრის ფრიად მედგარ წინააღმდეგობას. ჩვენი ტანკები და მოტორიზებული ქვეითი ჯარი შეიჭრნენ დ-ში და დაიკავეს მისი აღმოსავლეთი გარეუბანი.

მტერმა რამდენჯერმე სცადა მდინარე ნარაზე გადმოსვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნა. მეთაურ გოლუბევის ნაწილები უტევდნენ მალოიაროსლავეცის მიმართულებით და მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, თუმცა გერმანელები ხშირი კონტრიერიშებით ცდილობდნენ შეტევის ჩაშლას.

ფრონტის სამხრეთის უბანზე,— იუწყება პ. ლიდოვი,—მტერს აქტივობა არ გამოუჩენია. ოკაზე გადასასვლელს ჩვენი ჯარები მტკიცედ ინარჩუნებენ.

ორიოლის მიმართულებით, — როგორც „პრავდა" იუწყება, — ბრძოლები უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებს. მეხუთე დღეა, რაც მტერი, რომელიც სოლივით იჭრება ჩვენი თავდაცვის წინა კიდეში, წინ გზავნის ტანკებისა და მოტორიზებული ქვეითი ჯარის ცალკეულ ჯგუფებს. მტრის სატანკო ძალების ყველა იერიშს მამაცურად იგერიებენ მეთაურ ერმაკოვის ნაწილები. მოსკოვის მიმართულებით წარმატების განვითარების მიზნით მტერი სამი დღის განმავლობაში ბომბავს უშენდა ერთერთი რკინიგზის სადგურებს. ჩვენი ავიაცია უპასუხებს მასირებული თავდასხმებით მტრის ტანკებსა და მოტოკოლონებზე. ბრძოლები უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებს. ფაშისტებმა აქ დიდი რაოდენობით მოუყარეს თავი ტანკებს, არტილერიას, ნაღმსატყორცნებსა და ავტომატებს. ბრძოლებში ეს მტერს ერთგვარ უპირატესობას აძლევს.

სამხრეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობისადმია მიძღვნილი „კრასნაია ზვეზდას" მოწინავე სტატია. „მტერმა შესძლო შეჭრა დონბასის სიღრმეში, — სწერს „კრასნაია ზვეზდა".—ქალაქ სტალინოს აღების შემდეგ გერმანელებმა თავიანთი დარტყმა მიმართეს მაკეევკისა და შემდეგ გორლოვკისაკენ იმ მიზნით, რომ ხელთ იგდონ მთელი დონეცის ბასეინი. ამავე დროს სწარმოებს ბრძოლები ყირიმისათვის და ტაგანროგის მიმართულებით. გერმანელ ფაშისტთა ჯარების მთელი გზა სამხრეთით მოფენილია ჰიტლერელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მრავალი ასეული ათასი გვამით. საბჭოთა კავშირის სამხრეთი ნაწილის მამაცი დამცველები მტერს გმირულ წინააღმდეგობას უწევენ. ქალაქებში სტალინოსა და ტაგანროგში ჩვენი მებრძოლები თვითეული სახლისათვის იბრძოდნენ. ქუჩებში გამართული ბრძოლები ყველგან შეუპოვარი და გააფთრებულია. საბჭოთა კავშირის სამხრეთი ნაწილი ამჟამად ფრონტის ერთერთ უმნიშვნელოვანეს უბნად გადაიქცა. გერმანელებს სურთ ხელთ იგდონ დონბასი, რომ მიიღონ ჩვენი ქვანახშირი და ლითონი. ისინი მიიწევენ ჩვენი ნავთისაკენ. ისინი ცდილობენ დაეუფლონ ყირიმს, რომ გადააქციონ იგი თავიანთ შავი ზღვის ბაზად. მტერი შეგვიძლია შევაჩეროთ და კიდეც უნდა შევაჩეროთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, დავიცავთ საბჭოთა კავშირის სამხრეთი ნაწილი".

ვ. ყარა-მურზა

შეუპოვარი ბრძოლები ტულის მისადგომებთან

ჩვენი სპეციალური სამხედრო კორესპონდენტები ტულიდან გადმოგვცემენ: მეთერთმეტე დღეა ტულის მისადგომებზე გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს. წითელი არმიის ნაწილები მტერს საველე ზღუდეებზე აკავებენ და ამავე დროს მოაწყეს ტულის მტკიცე დაცვა. ბრძოლების დროს ჩამოგდებულია 16 თვითმფრინავი, დამსხვრეული და დამწვარია 70-დე ტანკი, მოსპობილია მტრის დიდძალი ქვეითი ჯარი. დღეს მეხუთე დღეა გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს ტულის ახლო მისადგომებზე. ნაწილები, რომლებსაც ამხ. ერმაკოვი მეთაურობს, არა თუ მტკიცედ აკავებენ მტრის შემოტევას, არამედ მუდამ აქტიურ კონტრიერიშებზე გადადიან.

ტულასთან გაჩაღებული შეუპოვარი ბრძოლები სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ფაშისტებისათვის. ერთი კვირის წინათ, როდესაც ალონეც ბრეიკშპრეხერი უნტერ-ოფიცრად დანიშნეს, იგი სწერდა ოჯახს: „უახლოეს დღეებში განზრახულია დიდი შეტევა ტულისა და მოსკოვის წინააღმდეგ. მოსკოვთან სერიოზული წინააღმდეგობა არ არის მოსალოდნელი". წერილში საცოლესადმი იგი აღიარებს: „მე ნუგეში მესაჭიროება. რუსეთთან ომი ძალლონის დიდ დაძაბვას მოითხოვს". მაგრამ წინააღმდეგობა, რომელიც „მოსალოდნელი არ იყო", იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ყოყოჩა ალონეცმა წერილის გაგზავნა ვეღარ მოასწრო. იგი სამარცხვინოდ დაიღუპა ზუსტად ნასროლი ტყვიისაგან.

ტულასთან ბრძოლებში გერმანელებმა პირველად შესცვალეს თავისი ტაქტიკა დღისით ომისა. ახლა მათ ყოველ ღამეს ორი-სამი იერიში მოაქვთ. წუხელ მათ მოაწყეს სატანკო კოლონის „ფსიქიური" იერიში — კოლონა ისე მოდიოდა, რომ სრულებით არ ისროდა. ჩვენმა მებრძოლებმა ცეცხლი წაუკიდეს გერმანელთა 7 ტანკს დანარჩენნი უკუიქცნენ. ჩინებულად მუშაობენ ჩვენი არტილერისტები. ახლა მთელ ტულის რაიონში ცნობილი გახდა მზვერავ კოვალჩუკის გმირობა. კოვალჩუკი მიწას გაეკრა და 2½ კილომეტრი იცოცა მტრის ზურგში. აქ მან აღმოაჩინა სამარი მასალების დიდი საწყობი. რამდენიმე წუთის შემდეგ მიწა შეაზანზარა საშინელმა აფეთქებამ, რომლის შუქითაც მთელი მიდამო განათდა. მთელი საწყობი ჰაერში აიტყორცნა. მამაცი მზვერავი უვნებელი დაბრუნდა თავის ნაწილში.

ბრძოლების დაძაბულობა არ კლებულობს. გერმანელებს სულ ახალ-ახალი რეზერვები გამოჰყავთ, მაგრამ ტულის დაცვაც დღითიდღე მტკიცდება.

(მიღებულია მოსკოვიდან რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ.)

მოქმედი არმია. სურათზე: ცხენოსან მზვერავთა ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი ვ. ი. ბრაილკო მზვერავებს უსახავს საბრძოლო ამოცანას.

ფოტო რ. მაზელევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები მოსკოვის მისადგომებზე. ხუთი დღის წინათ გერმანელებმა, მცირე შესვენების შემდეგ, რომელიც მოწყობილი იყო რეზერვების მოსაყვანად, მოჟაისკისა და მალოიაროსლავეცის მიმართულებებით ახალი ძალით განაახლეს იერიშები.

ამ ხუთი დღის განმავლობაში, — როგორც აღნიშნავს „პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი პ. ლიდოვი — გერმანელებმა ძალიან მცირე მანძილზე წამოიწიეს წინ. ეს წინსვლა მეტად უმნიშვნელოა, თუ მის ტემპებს შევადარებთ გერმანიის არმიის იმ წინსვლის ტემპებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოქტომბრის შემოტევის პირველი ხუთი დღის განმავლობაში.

ჩვენი ნაწილები თითქმის ყველგან განაგრძობენ კონტრიერიშებს. ისინი აწარმოებენ ბრძოლებს მნიშვნელოვან პუნქტების ნ. და დ-სათვის. მათ დაიკავეს ამ პუნქტების გარეუბნები და გამაგრდნენ იქ.

ცდილობდა რა გადმოსულიყო წყლის ზღუდეებზე, მტერმა მარცხი განიცადა და ზარალი ნახა. ერთერთმა ჩვენმა ნაწილმა შესძლო გადასულიყო ნარის მარჯვენა ნაპირზე. ბრძოლა ამ ნაპირზე გრძელდება. ამ უბნის ცოტა სამხრეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს ოთხი ბატალიონით. იერიში მოგერიებულ იქნა ჩვენი არტილერიის ცეცხლით. ფრონტის მარცხენა ფრთაზე მტერს აქტივობა არ გამოუჩენია.

საერთოდ როგორ შეიძლება შევაფასოთ მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე? უპასუხებს რა ამ კითხვას, „პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი ვლ. სტავსკი სწერს:

„გერმანელების განზრახვა ელვისებური სისწრაფით აეღოთ მოსკოვი, ჩაიშალა. გერმანელებმა დიდი და სერიოზული ზარალი ნახეს. ფაშისტურ დივიზიებში, რომლებიც ჩვენი დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ მოქმედებენ, დარჩა მათი პირადი შემადგენლობის არა უმეტეს ნახევრისა. უდიდეს ზარალთან ერთად აშკარაა არის გერმანელ ჯარისკაცთა სულიერი განწყობილების სერიოზული დაცემაც.

წინ არის სერიოზული და გადამწყვეტი ბრძოლები და ჩვენს ფრონტელებს სერიოზული გამოცდა მოელით. ბრძოლები ძნელი იქნება. მაგრამ ფრონტელები გამოწრთობილი არიან ბრძოლებში. ჩვენს ნაწილებს გამობრძმედილი მებრძოლი ხელმძღვანელები ჰყავთ".

ორიოლის მიმართულებით მტერი განაგრძობდა აქტივობას ერთერთ უმნიშვნელოვანეს უბანზე. როგორც „პრავდა" იუწყება, გააფთრებული ბრძოლები ტულის შორეულ მისადგომებზე თანდათან უფრო ძლიერდება. ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ დიდი ზარალის ფასად მტერმა შესძლო მთელ რიგ ადგილებში გაერღვია ჩვენი თავდაცვა და შევიწროვებინა ჩვენი ჯარი.

„მეთაურ ერმაკოვის ნაწილები— გადმოსცემს ტელეგრამით „პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი — მამაცურად და მტკიცედ იბრძვიან, მაგრამ მტრის შემოტევა ძლიერდება. მტერი დარტყმას ტანკებითა და ავიაციით აწარმოებს. წითელი არმიის მეომრებთან მხარდამხარ იბრძვიან ტულის მეიარაღენი, მეინსტრუმენტენი, მეღაზნენი, ტულის მშრომელები.

ტულის მისადგომებთან სისხლისმღვრელი შეტაკებები სწარმოებს თვითეული სოფლისათვის, თვითეული დასახლებული პუნქტისათვის.

როგორც „პრავდის" სპეციალური კორესპონდენტი დონის-როსტოვიდან იუწყება, ტაგანროგის მიმართულებით მტრის ყველა ცდები გაიჭრას როსტოვისაკენ ჩვენი ჯარების მტკიცე წინააღმდეგობას აწყდება.

უკვე რამდენიმე დღეა ამ უბანზე თავმოყრილი „სს"-ის რჩეული რაზმები ერთ ადგილს სტკეპნიან. ჩვენი ნაწილები თანდათან ამაგრებენ და აუმჯობესებენ თავიანთ პოზიციებს.

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ფრონტის მთელ რიგ უბნებზე მოხდა წარმატებითი კონტრიერიშები, რომელთა შედეგადაც მტერს წაართვეს რამდენიმე სიმაღლე და ყორღანი, რომლებიც ველს დაჰცქერიან.

ამ ადგილებში მტერი გადავიდა თავდაცვაზე, მიწაში ჩაფლო ტანკები და იყენებს მათ, როგორც საცეცხლო წერტებს.

წითელარმიელები მტკიცედ გამაგრდნენ დაკავებულ ზღუდეებზე.

ყირიმის მისადგომებზე წარმოებული ბრძოლების შესახებ „კრასნაია ზვეზდას" სპეციალური კორესპონდენტი იუწყება:

„მთელი რიგი პუნქტები რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოსდის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთის ფლანგზე. ფაშისტური ჯარები ყველა ძალას ხმარობენ გააფართოონ მათ მიერ ჩვენი თავდაცვის ხაზში ამ დღეებში მიღწეული გარღვევა. აქ მათ გამოჰყავთ ახალი ნაწილები. ბრძოლის ველი სავსეა გვამებით, მაგრამ მტერი მაინც ცდილობს წინ გამოჭრას".

მებრძოლი პატრიოტები

პოდპოლკოვნიკი შალვა მელქაძე

25 ოქტომბერს საღამოჟამს ლენინგრადის ფრონტის ერთერთ სექტორში, სადაც პოდპოლკოვნიკ შალვა მელქაძის ნაწილი მოქმედებდა, გააფთრებული ბრძოლა დაიწყო. პირსისხლიანი ფაშისტების ხროვა დიდი ძალით აწვებოდა პუნქტ გ.-ს.

გამოცდილი მეთაური შალვა ივანეს-ძე მელქაძე გეგმაზომიერად მოქმედებს, და შუაღამისას იგი მტერს მთელი სიმძაფრით ეკვეთა.

— სტალინისათვის, სამშობლოსათვის! ბიჭებო, მომყევით, — დასძახა პოდპოლკოვნიკმა და მას მიჰყვნენ თავგანწირული მებრძოლები. პუნქტი გ. ცეცხლის ალში გაეხვია. ფაშისტთა გვამებით აივსო მიდამოები. ამ ბრძოლის შესახებ საბჭოთა საინფორმაციო ცნობა გადმოგვცემს.

„პოდპოლკოვნიკ მელქაძის და მაიორ მიხაილოვის ნაწილმა, რომელიც ლენინგრადის ფრონტის ერთერთ სექტორში მოქმედებს, მძაფრი დარტყმით განდევნა ფაშისტები პუნქტ გ-დან, ამასთან ხელთ იგდო 3 ზარბაზანი, 8 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და დიდძალი ყუმბარა".

შალვა ივანეს-ძე მელქაძე დაიბადა 1900 წელს სოფ. ჩხენიშში (სამტრედიის რ.) ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება შალვამ იმავე სოფელში მიიღო და შემდეგ დაამთავრა კულაშის ორკლასიანი სასწავლებელი. 1914 წელს იგი მუშაობდა ბათუმში როტშილდის ქარხანაში მუშად, შემდეგ ნავთლუღში წყალსადენში ცეცხლფარეშად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი შედის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს. მალე მას გზავნიან სამხედრო აკადემიაში. აქ იგი ბეჯითად ეუფლება სამხედრო ცოდნას, წარმატებით ამთავრებს აკადემიას და გზავნიან ერთერთ სამხედრო სასწავლებლის უფროსად, სადაც მუშაობდა ომის დაწყებამდე. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი ამხ. შ. მელქაძე მიდის მოქმედ არმიაში. მოწინავე პოზიციებზე გამგზავრებისას ამხ. შ. მელქაძემ მშობლებს გამოუგზავნა თავისი სურათი წარწერით:

„სახსოვრად ძვირფას მამას ნიშნად ჩემი ფრონტზე გამგზავრებისა. ხანდახან დახედეთ ამ სურათს და მომიგონეთ. თქვენი შალიკო".

3 ოქტომბერს მშობლებისადმი მოწერილ წერილში ამხ. შ. მელქაძე სწერს:

„სალამი, ძვირფასო მშობლებო! გისურვებთ ყოველ კარგს და ჯანმრთელობას. იყავით სულ კარგად და კარგად. მოკითხვა ყველა მეზობლებს... მე ახლა გაცხარებულ ომში ვარ. ჩემი დარდი ნუ გექნებათ. ომი, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, არის სამართლიანი და ჩვენი დამარცხება არ იქნება. გერმანელების დროებითი წარმატებანი სრულებითაც არ ნიშნავს ჩვენს დამარცხებას. დარწმუნებული იყავით, რომ მალე ჩვენ გავიმარჯვებთ. ფაშისტების თხრილებში ვნახულობთ ნაძარცვ ნივთებს. ისე გამსუნაგებულან ეს საწყლები, რომ ძველი დანჯღრეული საათებიც კი წაუღიათ. ფაშისტების სიმხეცეს საზღვარი არა აქვს. ჩვენს წითელარმიელებს თუ ჩაიგდებენ ხელში, იმ წუთში ხვრეტენ"...

შვილის ასეთი წერილით აღფრთოვანებული ივანე მთელი თავისი ენერგიით მუშაობს საკოლმეურნეო მინდვრებზე. შარშან მას 300 შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული. წელს, მიუხედავად მოხუცებულობისა, უკვე გამომუშავებული აქვს 180-ზე მეტი შრომადღე და შვილს ასეთ წერილს უგზავნის: „ვამაყობ, შვილო, შენით. იყავი მედგარი და უშიშარი, ანადგურე მტერი. მე კი აქ სირცხვილს არ გაჭმევ. ვიშრომებ, ჩემს წვლილს შევიტან საერთო საქმეში. ყოველმხრივ დავეხმარები ფრონტს. შენი მამა ივანე".

ივანეს მეორე შვილი, შალვას ძმა ვალიკო მოქმედ არმიაშია, მესამე ძმა ინჟინრად მუშაობს ნავთლუღში, ერთი და, ლიდა, ინჟინერია, მეორე კი მასწავლებელი, რომლებიც მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

გ. სიხარულიძე.

რადისტი შოთა კოპაძე

გაზ. „კომუნისტის" 23 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო „იზვესტიას" 22 ოქტომბრის ნომრიდან გადმობეჭდილი ვ. კუროჩკინის ნარკვევი „ორი მეგობარი". ამ ნარკვევში ლაპარაკი იყო ორი ქართველი პატრიოტის—შოთა კოპაძისა და რომან პავლიაშვილის მეგობრობაზე და იმაზე, თუ როგორ ფხიზლად დგანან ცივ ჩრდილოეთში საბრძოლო საგუშაგოზე ეს სამხრეთელი ახალგაზრდები.

გაზეთში მოთავსებულმა ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია შოთა კოპაძის სოფელში—დვანში (ქარელის რაიონი). მეზობლებმა დიდის ამბით მიახარეს შოთას მამას—მიხაკო კოპაძეს შვილის ამბავი და თან გაზეთი მიუტანეს.

უკვე რამდენიმე ხანია შოთას ამბავი არ იცოდნენ მშობლებმა. რამდენიმე თვის წინათ მიღებულ წერილში იგი იწერებოდა:

— ჩემო ძვირფასო მშობლებო! ვიცი ჩემი ჯავრი გექნებათ, მაგრამ ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, რომ, სახლშიც რომ ვიყო, თქვენ თვითონ უნდა გამგზავნოთ ფრონტზე. ჩვენი სამშობლო განსაცდელშია და, რასაკვირველია, პირველ რიგში ახალგაზრდები ვართ მოვალე გავიდეთ მის დასაცავად, სასტიკი დარტყმით ვუპასუხოთ ვერაგ მტერს. ერთში დარწმუნებული იყავით: სადაც არ უნდა ვიყო, მუდამ და ყოველთვის ერთგულად და თავდადებულად ვიბრძოლებ ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი დიდი სამშობლოსათვის და არასოდეს სირცხვილს არ გაჭმევთ...

გაზეთში ამოკითხული ამბით გახარებულმა მშობლებმა შოთას წერილი გაუგზავნეს. შეატყობინეს მახლობლების ამბავი, აუწყეს, რომ ყველანი კარგად არიან, რომ უკვე გამოიმუშავეს 300 შრომადღე და ახლო ხანში კოლმეურნეობის გამგეობა გაანაწილებს უხვ მოსავალს და სხვ.

— წერილის მოწერას მაინც ნუ დაიზარებ,—სწერს შვილს მიხაკო კოპაძე,— ჩვენ კარგად ვიცით, რომ არ შეგვარცხვენ და გვასახელებ, მაგრამ მშობლის გული მაინც სხვაა. ამბავი ხშირ-ხშირად შეგვატყობინე. ერთი რამ შენც გახსოვდეს: ლაჩრის ყოლას გვირჩევნია სულ არ გვყავდეს შვილი. შენ კი ლაჩარი არასოდეს არ იქნები...

ფოსტას მიაქვს ახალი წერილი სოფ. დვანიდან შოთა კოპაძესთან.

შოთა მიხეილის-ძე კოპაძე დაიბადა 1920 წელს. ჯერ იგი ადგილობრივი პირველდაწყებით სკოლაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ თბილისში დაამთავრა მეთერთმეტე საშუალო სკოლა. 1939 წლის შემოდგომაზე შოთა წითელ არმიაში გაიწვიეს. აქ მან რადისტობა შეისწავლა და როგორც საუკეთესო მებრძოლი-რადისტი დღეს იგი თავდადებულად იბრძვის ჰიტლერელ ავაზაკთა ხროვის წინააღმდეგ.

დ. ლომთაძე

უფროსი სერჟანტი ი. ყირიმელაშვილი

ქიმკომბინატის მუშებს კარგად ახსოვთ მათი ამხანაგი და ერთერთი მოწინავე სტახანოველი იოსებ ყირიმელაშვილი. ყირიმელაშვილი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის გმირთა თაობას ეკუთვნის. იგი ახლა უფროსი სერჟანტია და მეტყვიამფრქვეველთა ქვეგანაყოფს ხელმძღვანელობს.

17 აგვისტოს სამხრეთის ფრონტის ერთერთ უბანზე ყირიმელაშვილის მეტყვიამფრქვეველებმა თავი ისახელეს ფაშისტთა ურდოების განადგურებაში. მთელ სამ დღედაღამეს გაგრძელდა ბრძოლები. ჩვენი მეტყვიამფრქვეველები დაუღალავად მუშაობდნენ და მუსრს ავლებდნენ ფაშისტთა ბანდებს. ამ უბანზე ფაშისტებს დიდ მანძილზე დაახევინეს უკან. მათ წაართვეს რამდენიმე სოფელი და დასახლებული პუნქტი, რომლებიც სისხლისმსმელმა ჰიტლერელებმა ნანგრევებად გადააქციეს.

შეტევაზე გადასული და მტერს დადევნებული წითელარმიელები ხედავდნენ წამებით მოკლულ კოლმეურნეთა გვამებს, გადაბუგულ სკოლებს, კლუბებსა და სახლებს. ხედებოდნენ ფაშისტთა მხეცობით შეშლილ, გაუბედურებულ და გაწამებულ ქალებს და ბავშვებს, დაკლულ და დაჩეხილ საქონელს —ხარებს, ძროხებს და ცხენებს, რომელთა წასხმაც მტერმა ვერ მოასწრო.

შურისძიების გრძნობით ენთებოდა წითელარმიელ მებრძოლთა გული. მტარვალებისათვის სამაგიეროს გადახდისაკენ მოუწოდებდა მათ საბჭოთა ადამიანების კვნესა და უხვად დაღვრილი სისხლი უდანაშაულო ბავშვებისა.

განთიადი ახლოვდებოდა, როცა წითელი მებრძოლების მიერ გამაგრებულ მიჯნას მტრის ჭარბმა ძალებმა შემოუტიეს. ყირიმელაშვილიც აქ იყო თავის ძმადშეფიცულ ამხანაგებით. ბრძოლა ნაშუადღევამდე გაგრძელდა. ეს იყო სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა. მტრის ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებით მოფენილი იყო მიდამო და ფაშისტები იძულებული გახდნენ ამჯერად უარი ეთქვათ შეტევის განმეორებაზე. ყირიმელაშვილის მეტყვიამფრქვევეებმა ფაშისტ ჯარისკაცთა ერთ ჯგუფს გზა გადაუჭრეს, თავისიანებს მოსწყვიტეს და ყველანი ტყვედ წამოიყვანეს.

ამ ბრძოლების დროს დაიჭრა ყირიმელაშვილი. რამდენიმე ხანს მკურნალობდა და დროებით მოსწყდა თავის ამხანაგებს. იოსებ ყირიმელაშვილი იწერება, რომ ახლა იგი კარგად არის და სურს მალე დაუბრუნდეს თავის ამხანაგ მეტყვიამფრქვევეებს.

იოსებ იოსების-ძე ყირიმელაშვილი საგარეჯოს რაიონიდანაა. იგი დაიბადა სოფ. ხაშმში 1905 წელს. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და მუშაობდა სხვადასხვა ქარხნებში. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ამხ. ყირიმელაშვილი მუშაობდა ქიმკომბინატის სახამებელ საამქროში, საიდანაც იგი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს.

დ. ამირანიძე

მებრძოლთა წერილები მოქმედი არმიიდან

„მტერი ულმობელია—ნურც იგი მოელის ლმობიერებას ჩვენგან!“

ვით სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირი, გაცოფთრდნენ, გამმაგდნენ ჰიტლერელი ბანდიტები. არ ერიდებიან არავითარ მსხვერპლს, მათი გვამები მთებად წვება ჩვენს მიწა-წყალზე. მაგრამ სადაც კი შესდგამენ ფეხს, მიწასთან ასწორებენ ყველაფერს თავისი მძიმე ქუსლით.

არ იცის შმაგმა მტერმა დაზოგვა, ამიტომ ნურც ჩვენგან მოელის იგი ლმობიერებას. „არაფრით არ დავზოგავთ მტერს. ფუგასური ბომბით და ტყვიით, დანითა და ხელკეტით, ხიშტითა და ხელყუმბარით, თვით კბილებით დავგლეჯთ მტერს, რომ მისი სახსენებელიც აღარ იყოს ამ ქვეყნად“,—გვწერს სერჟანტი ვასილ ალექსანდრეს-ძე მიქაძე.

განსაკუთრებით რუსული ხიშტისა ეშინიათ ქოფაკ ფაშისტებს, ამიტომ ამ ხიშტით უნდა ჩავკლათ ისინი.

„ერთერთ შეტაკებაში,—სწერს თავის მშობლებს თბილისში ლეიტენანტი ავთანდილ ივანეს-ძე განუგრავა, — უკუვაქციეთ მტერი ხიშტის მედგარი დარტყმით. თავზარდაცემულმა გერმანელმა ოფიცერმა შემოგვძახა: ხიშტით არა, მესროლეთ! მაგრამ განა შეიძლება წუნკალი ფაშისტის დანდობა. იგი უნდა მოჰკლა, და მოჰკლა სწორედ იმ იარაღით, რომლის უფრო ეშინია. „არა, ფაშისტო, ხიშტით უნდა მოკვდე!“,—დასძახა ჩვენმა მებრძოლმა და შიგ გულში ჰკრა ხიშტი“.

თვით ამხ. ა. განუგრავა თავისი ტანკით დაუზოგავად ანადგურებს მტრის ტანკებს. პირველი მისი საბრძოლო ნათლობა მოხდა 13 ივლისს. შემდეგ იგი იბრძოდა იარცევოსთან, სადაც ერთერთ დიდ ბრძოლაში მისმა ტანკმა გასრისა მტრის სამი ტანკი. ახლა ამხ. ა. განუგრავა იბრძვის მოსკოვის სახელოვან დამცველთა რიგებში.

„ტყუილად ნუ უხარია მტერს დროებითი თავისი წინსვლა, — გვწერს ორდენოსანი, თეთრფინელებთან ბრძოლის მონაწილე ამხ. ვარლამ ბულია.—მტრის თვითეული ჯარისკაცი კარგად ხედავს, თუ რა მძიმე ხდება ჰიტლერისათვის ჩვენთან ბრძოლა. კარგად ხედავს იმას, რომ მის დაუზოგავ დარტყმას დაუზოგავ პასუხს ვაძლევთ, და შორს არ არის ის დრო, როდესაც გერმანელები საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ვერ გაგვტეხს ფაშისტთა სიმხეცე. ჩვენი ხალხი დიდი და უძლეველია. ისეთი ოჯახები, როგორიც ჩემია, ასეულათასობით არის ჩვენს დიად კავშირში. ჩემი ოჯახიდან ოთხი ძმა ვართ მოქმედ არმიაში. ესტატე, გაინო და პლატონი უკვე მეოთხე თვეა გმირულად ებრძვიან მტერს და ფიცს იძლევიან, რომ არ შეარცხვენენ წითელი მებრძოლის სახელს“.

„სანამ გული მიძგერს, ჩემს სამშობლოს ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე!—ასე ფიქრობს დღეს ყოველი საბჭოთა ადამიანი, თვითეული წითელი მებრძოლი. ასე ვფიქრობ მეც,—გვწერს პოლიტხელის მოადგილე იოსებ რაფიელის-ძე ამაშუკელი.—ამ შეგნებით მივდივართ ჩვენ მტერზე, ამ შეგნებით ვიმარჯვებთ ჩვენ მასზე“.

მიწაზე, წყალზე, ჰაერში—არსად დაზოგვა არა აქვს საზიზღარ მტერს. რამდენია იმის მაგალითი, როდესაც ჩვენი სახელოვანი შევარდნები საკუთარი სიცოცხლის გაწირვით ეჯახებიან ჰაერში მტრის სვავებს. ჩვენს სტალინურ შევარდნებს არაფრად მიაჩნიათ სიკვდილი სამშობლოსათვის, მაგრამ თავის სიცოცხლეს ძვირად აფასებენ.

ერთერთ ასეთ სახელოვან შევარდენ ამხ. ალექსანდრე ჯოხაძის შესახებ გვწერს მოქმედი არმიიდან წითელი მებრძოლი ამხ. კ. ჟორჟოლაძე. მას ახასიათებს ულმობელობა მტრის მიმართ, საკუთარი სიცოცხლისათვის გაფრთხილება და ამავე დროს სიკვდილის არაფრად მიჩნევა, როდესაც ეს საჭიროა მტრის მოსასპობად.

„ამხ. ა. ჯოხაძე ულმობელია მტერთან ბრძოლაში. ერთხელ მას ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი მტრის თვითმფრინავი გაუსხლტდა. ამხ. ა. ჯოხაძე ვერ აპატიებდა თავის თავს, რომ მტერი დაუსჯელი წასულიყო მისი ხელიდან. ელვად გაურბინა ამ აზრმა, და უმალვე გადაწყვეტილება მიიღო. დაედევნა მტერს, დაეწია საზღვარზე, დაეჯახა თავისი თვითმფრინავი და ჩამოაგდო, თვითონ კი უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზაში.

— „მტერი ულმობელია—ნურც იგი მოელის ლმობიერებას ჩვენგან!“—ასე განაცხადა ამხ. ა. ჯოხაძემ ამ საბრძოლო გაფრენიდან დაბრუნების შემდეგ.

შ. გვინჩიძე

წითელარმიული მადლობა

სოხუმი (საქ. კორ.). აფხაზეთის მშრომელები თბილ საზამთრო ტანსაცმელთან ერთად წითელი არმიის მებრძოლებს უგზავნიან სხვა საჩუქრებსაც (ნამცხვარი, ხილი, პაპიროსი, თამბაქო და ა. შ.). სამამულო ომის დღეებში აფხაზეთის მშრომელებმა წითელარმიელებს გაუგზავნეს 464 ყუთი ასეთი საჩუქრება.

მოქმედი არმიის ცალკეული ნაწილებიდან, სამხედრო ჰოსპიტლებიდან, სამხედრო - საზღვაო ფლოტის ნაწილებიდან მშრომელებს მოსდით გულმხურვალე მადლობის წერილები მათი საჩუქრებისათვის. ამ დღეებში ასეთი წერილი მიიღეს აფხაზვაჭრობის, საზკვების და მეთევზეთა სამომხმარებლო კავშირის მუშაკებმა ერთერთი სამხედრო ჰოსპიტლიდან. დაჭრილი მებრძოლები დ. რობაქიძე, გ. მელიკოვი, ი. კაცუბა, ხ. ჟუგლია მათ სწერენ: „ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ ყველაფრით, რაც კი საჭიროა ჩვენს გამოსაჯანმრთელებლად, მაგრამ თქვენი საჩუქრები მაინც უძვირფასესია ჩვენთვის. ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ თქვენს გულთბილ ზრუნვას ჩვენთვის და ეს კიდევ მეტ ძალას გვმატებს. გითვლით ჩვენს წითელარმიულ მადლობას“.

ზ. მერკვილაძე

საქართველოს კომკავშირი საბრძოლო სატორპედო კატერებს და სატანკო კოლონებს აშენებს

ოქტომბრის შუა რიცხვებში,—სისხლისმსმელ ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში,—აფხაზეთის—სოხუმის ნავსადგურის, სახელმწიფო დრამატული თეატრის და ტყავის ფეხსაცმლის კომბინატის—ძირეული კომკავშირული ორგანიზაციები გამოვიდნენ შესანიშნავი ინიციატივით—სახსრების შეგროვებას შეუდგნენ სატორპედო კატერების დივიზიონის ასაგებად.

იმავე დღეებში სამხრეთ-ოსეთის — სტალინირის სატყეო კომბინატის, აგურის ქარხნის და არტელ „ტრიკოტაჟის“ — კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა ჩელიაბინსკის ოლქის სახეხი ქარხნის მაგალითის მიხედვით, შეუდგა სახსრების შეგროვებას სატანკო კოლონის ასაგებად.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა ერთსულოვნად გამოეხმაურა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის კომკავშირელთა ამ უაღრესი დიდი მნიშვნელობის ინიციატივას.

საქართველოს ალკკ-ის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილებით მოიწონა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის კომკავშირელთა წამოწყება და სატორპედო კატერებისა და სატანკო კოლონის ასაგები სახსრების შეგროვების ძირითად წყაროდ მიიჩნია რაიონული, საქალაქო და სოფლქო კომკავშირული კვირაობების მოწყობა, სასპორტო გამოსვლების, თეატრალური დადგმების და კინოსეანსების გამართვა, აგრეთვე ის სახსრები, რომელსაც კომკავშირული და პიონერთა ორგანიზაციები იღებენ მათ მიერ შეგროვებულ და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ შავი და ფერადი ლითონის ჯართში.

16 ნოემბერს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები აწყობს კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის სრულიად-საქართველოს კვირაობას. ხელფასი, რომელსაც ამ დღეს ათი ათასობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი გამოიმუშავებს, ჩაირიცხება საბრძოლო სატორპედო კატერებისა და სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში.

საქართველოს ალკკ-ის ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ კანტორაში გახსნა № 160252 სპეციალური ანგარიში—„საქართველოს კომკავშირის სახელობის საბრძოლო სატორპედო კატერებისა და სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდი“.

* * *

თბილისის მოსწავლეები კონსერვის ქარხნებისათვის შეუდგნენ ლიტრიანი და ნახევარლიტრიანი მინის ქილების მასობრივ შეგროვებას. ქილების რეალიზაციით აღებულ სახსრებს პიონერები და მოსწავლეები გადარიცხავენ საბრძოლო სატორპედო კატერებისა და სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში.

* * *

კომკავშირელი მოწაფეების—ე. გორელოვას, ლ. ბასინოვას, ს. პიასეცკაიას, ნ. მელიქფაშაევას და სხვათა ინიციატივით 101-ე სრულ საშუალო სკოლაში ბავშვთა შემოქმედების წრეები დაარსდა. წრის წევრმა ნორჩმა პატრიოტებმა სამი ფასიანი საღამო გამართეს და შემოსული 800 მანეთი ჩარიცხეს საქართველოს კომკავშირის სახელობის საბრძოლო სატორპედო კატერებისა და სატანკო კოლონის აგების ფონდში.

(საქინფო).

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

წლიური გეგმები შეასრულეს

ჭიათურა („კომუნისტის“ კორ.). წინასაოქტომბრო შეჯიბრების გაშლით ჭიათურის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

ლიმონათის ქარხანამ წლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება წლის ბოლომდე რამდენიმე ასეული ჰექტოლიტრი ლიმონათი გამოუშვას. ასევე გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა საყინულე ქარხანამ. დიდი წარმატება მოიპოვა კვარცის სილის წარმოების კოლექტივმა. მან წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. წლის ბოლომდე დამზადებული იქნება რამდენიმე ასეული ტონა კვარცის სილა.

კირქვის საწარმოს კოლექტივმა ოქტომბრის გეგმა 25 ოქტომბერს დიდი გადაჭარბებით შეასრულა. კირქვის წარმოებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მ. ბარათაშვილმა და პ. ნადირაძემ, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 125-170 პროცენტით ასრულებენ.

მ. მოდებაძე

რიონჰესის პარტორგანიზაცია საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში

ქუთაისი („კომუნისტის“ კორ.). დიადი სამამულო ომის დღეებში ი. ბ. სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგურის პარტბიურომ (მდივანი—ე. გვასალია) გააძლიერა პარტიული ხელმძღვანელობა საწარმოს მთელი საქმიანობისადმი.

პარტორგანიზაციის კრებაზე განხილულ იქნა დირექტორის მოხსენება აგრეგატებზე მუშაობის ახლებურად გარდაქმნის შესახებ. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებისათვის პარტბიურომ საწარმოს მთელი კოლექტივი დარაზმა.

ელექტროსაამქროს კარგ მუშაობაზე დამოკიდებულია რიონის ჰიდროელექტროსადგურის საწარმოო გეგმების შესრულება. ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ელექტროსაამქროს კოლექტივის მუშაობას. პარტბიუროს სხდომაზე საამქროს მუშაობის საკითხი სპეციალურად იქნა განხილული. ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დაირაზმნენ საამქროში მომუშავე კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები. ელექტროსაამქროს უფროსი ინჟინერი კომუნისტი დ. შავგულიძე, ელექტრომონტიორი კომკავშირელი ქ. ლანჩავა და კომუნისტი ვ. შვანგირაძე სამუშაო დროის დამთავრების შემდეგაც 3-4 საათს რჩებიან საამქროში, დაუცხრომლად ზრუნავენ, რათა საამქრომ უწუნოდ და უავარიოდ იმუშაოს.

კომუნისტების მაგალითებს მიბაძეს უპარტიო მუშებმა. რიონჰესში ათეულობით არიან ისეთი მოწინავე სტახანოველები, რომლებიც იმდენს მუშაობენ, რამდენიც საჭიროა ომიანობის პირობებში. უპარტიო პატრიოტი მუშები—ზეინკალი გ. ზუბაევი, ხარატი ი. ძიძიგური და ზეინკალი დ. მელაძე ხშირად 2 ცვლაში მუშაობენ.

პარტიულ-მასობრივი მუშაობის გარდაქმნის საფუძველზე საწარმოს მთელი კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოსკოვის საკისარის ქარხნის მუშაკთა მოწოდებას და ჩაება წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში. მათ იკისრეს ვალდებულება წლიური საწარმოო გეგმა გაენაღდებინათ 25 ოქტომბრისათვის. ეს ვალდებულება რიონჰესელებმა ვადაზე ერთი დღით ადრე შეასრულეს. აგრეთვე ვადაზე მთავრდება 2 ტრანსფორმატორის მიმდინარე რემონტი.

შესამჩნევად გაიზარდა პარტორგანიზაციის ავტორიტეტი. საწარმოს მოწინავე ადამიანები შედიან ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში. სამამულო ომის პერიოდში პარტორგანიზაციამ პარტიის წევრად მიიღო სტახანოველი ელექტროტექნიკოსი ი. ჭარხალაშვილი და ს. გობიანი. პარტიის წევრობის კადიდატად მიღებისათვის პარტბიუროში განცხადება შეიტანეს სტახანოველებმა დ. კანდელაკმა და ი. ნაჭყებიამ.

პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყოველდღიური პოლიტიკური აგიტაციის ახალი ძალით გაშლას სამამულო ომის დღეებში. აგიტკოლექტივისათვის, რომელსაც პარტბიუროს მდივნის მოადგილე ი. ვაჩაძე ხელმძღვანელობს, მოეწყო სპეციალური კუთხე. აგიტატორებად პასუხისმგებელი მუშაკები შეარჩიეს. უკანასკნელ 3 თვეში აგიტკოლექტივმა მოაწყო 4 ლექცია საბჭოთა ხალხის სამამულო ომის საკითხებზე. აგიტატორები ინჟ. დ. შავგულიძე, გ. გურგენიძე და ნ. სანიკიძე ცოცხლად და დამაჯერებლად ატარებენ საუბრებს.

რ. კინწურაშვილი

წლიური გეგმა შესრულებულია

აბაშა, 3 ნოემბერი (საქინფო). აბაშის მანქანა-ტრაქტორების სადგურმა წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებაში ვალდებულება აიღო: 1 ნოემბრამდე შეესრულებინა წლიური საწარმოო გეგმა. აღებული ვალდებულება განაღდებულია. მტს-მა ვადაზე ადრე 101 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა. ტრაქტორისტებმა დაზოგეს 12 ტონა საწვავი და საცხები მასალა. ტრაქტორისტები ს. ტიტვინიძე, ა. ნოზაძე, პ. თურმანიძე, ი. ელიაძე და ო. ჯოჯიშვილი ყოველდღიურ ნორმებს 200 და მეტი პროცენტით ასრულებენ. მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება გეგმის ზევით მოხნას 400 ჰექტარი ფართობი, დაზოგოს 8 ტონა საწვავი მასალა.

სოციალისტური შეჯიბრებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება

ზუგდიდი („კომუნისტის“ კორ.). წელს აგვისტოში ამუშავდა ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკა, რომელიც უშვებს მაღალხარისხოვან მწვანე აგურას ჩაის. 8 ოქტომბერს, ჩაება რა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაქვის ჩაის საწნეხ ფაბრიკასთან, ზუგდიდის ფაბრიკის კოლექტივმა აიღო ვალდებულება გეგმის ზევით მისცეს სამშობლოს 30 ტონა მწვანე აგურას ჩაი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამდე ფაბრიკა დღიურ დავალებებს მხოლოდ 80-მდე პროცენტით ასრულებდა, ამჟამად კი ასრულებს 120-140 პროცენტით.

სოციალისტური შეჯიბრება გაშლილია ცვლებსა და ცალკეულ მუშაკთა შორისაც. დავალების 200 პროცენტით შესრულებით თავი ისახელეს მუშებმა: მ. ნოვიკოვამ, შ. ესებუამ, მ. ლუკავამ, ა. თვალავაძემ, ე. ნაზაროვამ და სხვ.

შ. შენგელი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ხარატი გიორგი ჭილერელი. წინასაოქტომბრო ვალდებულებას 250-300 პროცენტით ასრულებს.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხარატი ლევ აფონჩენკო. წინასაოქტომბრო ვალდებულებას 250-300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

კალე ბობოხიძე

მოსკოვო ჩემო!

ქალაქებს შორის გიგანტად დგახარ
მოსკოვო ჩემო—რუსეთის გულო!
შენს მისადგომებს მტერი მოადგა,
უძლეველ ერის მძლევარე სულო,
დედავ — მშობელო ყამრავ ხალხთა,
გმირულ სწრაფვათა ხატებავ სრულო!

ვინ დაიჯეროს, რომ შენი გული —
ბნელი ძალების საზრდოდ გახდება,
ვინ დაიჯეროს გაგიჩნდეს წყლული,
ჩაქრეს კრემლის ვარსკვლავთ ნათება?
შენში ბობოქრობს უკვდავი სული —
ლენინის სიბრძნე შუქად გადგება!

ვერ მოსპობ შენი მედგარი ძალა,
რაც გააფთრებით უნდა გეომონ,
შემოკარი მტარვალებს რკალად,
რომ ბასრი ლახვრით გმირავდე დემონს,
მოდედ რისხვად და ქარიშხლად
დასცე ტირანი, მოსკოვო ჩემო!

ძვირფასო, შენთან სამტროდ მოსულებს
ნაპოლეონის ბედსაც ვანატრებთ,
გავანადგურებთ ხალხთა მოძულეს,
მურისძიების რისხვას ავანთებთ,
მოვსპობთ მტარვალებს სისხლით მოსვრილებს,
ყინვაში, ქარში ღამეს გავათევთ!

დიდო მოსკოვო, დგება სტალინთან
ხალხთა არმია ლაშქარ-მრავალი,
ლენინის სახე მოედანიდან
გვანათებს, ვით მზე ამომავალი,
მჯერა მტერს მოვსპობთ ძლიერ ძალითა,
ჩვენ დიდ გმირების შთამომავალნი!

არ დაეცემა, გმირო-ქალაქო,
ურყევი ძალა მხედართმთავრების,
მარად ინათებ, წმინდა ალაგო,
კრემლის თალებით და ვარსკვლავებით,
ლენინის ნათელს ვერვინ ჩააქრობს,
კვლავ იკაშკაშებ დღის ბრწყინვალებით!

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

თბილი ტანსაცმლის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს

თიანეთი („კომუნისტის“ კორ.). თიანეთის რაიონში შეგროვილია 947 წყვილი მატყლის წინდა, 510 წყვილი ხელთათმანი, 120 ბალიშისპირი, 58 ზეწარი, 4 ჯემპრი, 21 მაიკა, 135 ქვედა საცვალი, 112 პერანგი, 119 პირსახოცი, 69 ცხვირსახოცი, 776 კილოგრამი მატყლი, 333 ცხვრის ტყავი, დაბამბული შარვლები, ქურთუკები და სხვ.

სოფელ გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეაგროვეს 35 წყვილი წინდა, 19 წყვილი ხელთათმანი, 51 ცხვრის ტყავი და 96 კილოგრამი მატყლი.

სოფელ სიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შეაგროვა 38 წყვილი წინდა, 16 წყვილი ხელთათმანი, 16 ცხვრის ტყავი, 10 კილოგრამი მატყლ[…]

თიანეთის საშუალო სკოლის მოსწ[…] ლეებმა წითელარმიელებს მოუმზად[…] მრავალფეროვანი საჩუქრები, მათ შორ[…] 100 წყვილი წინდა და ხელთათმანი, […] ცხვირსახოცი, 4 პირსახოცი, 3 წყვი[…] ბამბის წინდა, 10 ცალი მაიკა, 36 კ[…] ლოფი პაპიროსი და სხვ.

თიანეთის რაისაბჭოს თანამშრომლებ[…] დამატებით კიდევ 1.840 მანეთი შეაგრ[…] ვეს თბილი ტანსაცმლის დასამზადებლა[…] კოოპერაციის თანამშრომლებმა კი—8[…] მანეთი.

თბილი ტანსაცმლის შეგროვება გრძე[…] დება.

ი. ბექანიშვილი

* * *

წულუკიძე („კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან). წულუკიძის რაიონში დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს თბილი ტანსაცმლის შეგროვება წითელარმიელთათვის.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის რაიონში შეგროვილი და ჩაბარებულია 1135 სვიტერი, 11 წყვილი ქეჩის ჩექმა, 14 წყვილი ნაბდის ჩექმა, 401 ცალი პირსახოცი, 109 ცალი ლეიბისპირი, 269 ქვედა ნაქსოვი საცვალი, 149 ქვედა საცვალი, 303 ცალი პერანგი, 321 ცალი მაიკა, 102 ცალი ზეწარი, 133 წყვილი ხელთათმანი, 419 წყვილი წინდა, 20 ცალი ბალიშის ზედაპირი, 143 ცალი ბალიშის ქვედაპირი, 6 ცალი შარვალი, 4 ცალი ხალათი, 7 ცალი დაბამბული ხალათი, 5 ცალი თბილი ქუდი, 615 წყვილი ფეხსახვევი, 2 წყვილი ტოლაღი და 66 ცალი ცხვრის და თხის ტყავი.

თბილი ტანსაცმლის შეგროვების საქმეში განსაკუთრებით კარგი მუშაობა ჩაატარა მათხოჯის სასოფლო საბჭომ. კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები და სოფლის ინტელიგენცია ენერგიულად შეუდგნენ თბილი ტანსაცმლის დამზადებას. კოლმეურნე ქალებმა, წითელარმიელების დედებმა, ცოლებმა და დებმა ჩვენს მებრძოლებს მოუქსოვეს თბი[…] წინდები და ხელთათმანები. მოქსოვა [...] კომისიას ჩაბარა წითელარმიელის [დ]ედამ ნ. ძიძიგურმა სამი წყვილი წინ[და] და ერთი წყვილი ხელთათმანი, ა. ბარ[…] ბაძემ კი, რომლის ორი ვაჟი ფრონტ[ზე] იბრძვის სამშობლოს დასაცავად, მოქს[ოვა] ორი წყვილი წინდა და ერთი წყ[ვი]ლი ხელთათმანი. წითელარმიელის ცო[ლ]მა თ. ანისონიანმა კომისიას ჩაბარა […] ცალი პერანგი და 30 მანეთი ფუ[ლი]. მათხოჯის სასოფლო საბჭომ სახე[ლ]მწიფოს ჩააბარა სულ 112 წყვილი შ[…] ლის წინდა, 47 წყვილი ხელთათმა[ნი], 100 ცალი პირსახოცი, 26 წყვილი სა[ც]ვალი, 11 ცალი ზეწარი, ცხვირსახოცებ[ი], დაბამბული შარვლები და სხვ. თბი[ლი] ტანსაცმლის შეგროვების საქმეში გან[სა]კუთრებული ენერგია გამოიჩინეს მა[ს]წავლებლებმა ქალმა, საუკეთესო აგიტ[ა]ტორმა ამხ. ნადია ხურომემ, აგიტკ[ო]ლექტივის თავმჯდომარემ ამხ. აკა[…] უბილავამ და სხვებმა.

რაიონში კვლავ მიმდინარეობს მ[უ]შაობა თბილი ტანსაცმლის დასამზადებ[ლა]დ.

* * *

წითელწყარო („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელებმა წითელარმიელთათვის დაამზადეს 4.355 წყვილი მატყლის წინდა, 1.375 წყვილი მატყლის ხელთათმანი, 139 ტყავის ხელთათმანი, 12 ტყავის თბილი ქურთუკი, 143 მატყლის ჟილეტი, 163 წყვილი ქეჩის ჩექმა, 100 წყვილი თბილი საცვალი, 139 თბილი ქუდი და დიდი რაოდენობით საზამთრო ტანსაცმელი, აგრეთვე მრავალი თეთრეული.

რაიონის კოლმეურნეობებმა თბი[ლი] ტანსაცმლის დასამზადებლად შეიტანეს [...] ტონა მაღალხარისხოვანი მატყლი.

თბილი ტანსაცმლის დამზადება გრძე[ლ]დება.

ირ. მოლოდინი

* * *

მესტია („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 1 ნოემბრამდე ზემო-სვანეთის მშრომელებს წითელი მებრძოლებისათვის შეგროვილი ჰქონდათ: 808 ცალი ცხვრის ტყავი, 177 კილოგრამი მატყლი, 338 წყვილი წინდა, 154 წყვილი ხელთათმანი, 28 წყვილი ნაბდის ჩექმა, 78 თბილი ქუდი, 3 ტყავის ქურქი, 26 თბილ[ი] შარვალი, 33 წყვილი თეთრეული [და] სხვ. სვანი ქალები მებრძოლთათვის ქს[ო]ვენ სვანურ შალს, რომელიც სპეცი[ა]ლურად გამოსადეგია მეთხილამურეთათ[ვის], ქსოვენ აგრეთვე წინდებსა და ხელ[თ]ათმანებს.

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი -->

აკადემიკოსი ზ. ხაჭაპურიძე

ქართველი ხალხი აღსავსეა გადაწყვეტილებით—იბრძოლოს მტრის სრულ განადგურებამდე

თავისი ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე თავისუფლებისმოყვარული ქართველი ხალხი არაერთხელ აღმდგარა მრავალრიცხოვან დამპყრობელთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

არაერთხელ დამდგარა საკითხი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, საკითხი — თავისუფალი ყოფილიყო სამშობლო, თუ უცხოელთა მონობის ბორკილი დასდებოდა. მაშინ მთელი ხალხი ფეხზე დგებოდა, არ იშურებდა არც სიცოცხლეს, არც ქონებას და ეწეოდა ულმობელ ბრძოლას ვერაგი და მძვინვარე მტრების წინააღმდეგ.

თავისუფლებისმოყვარული ქართველი ხალხის დროშაზე ეწერა გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი სიტყვები:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“.

ათას წელზე მეტი ხნის წინათ ქართველი ხალხი იბრძოდა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ. XIII საუკუნეში იგი ეწეოდა სამამულო ომს მონღოლების წინააღმდეგ.

ირანის მფლობელნი ცდილობდნენ გადაექციათ საქართველოს სამეფოები ვასალურ სახანოდ. მათი ყაჩაღური ზრახვების წინააღმდეგ XVI საუკუნის დამლევს და XVII საუკუნის დამდეგს სახალხო ლაშქრის სათავეში მამაცურად და შეუპოვრად იბრძოდა სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე, რომელმაც მოიპოვა მთელი რიგი შესანიშნავი გამარჯვებანი ირანის შაჰ აბასის ურდოებზე.

ბევრი მძიმე განსაცდელი, უმაგალითო გაჭირვება, ხალხის უბედურება და ცრემლი გადაუტანია ქართველ ხალხს თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მაგრამ ყოველივე ეს მკრთალია იმ განსაცდელის წინაშე, რომლის გადატანაც მას მოუხდა XVIII საუკუნის დამლევს, როდესაც 1795 წლის სექტემბერში საქართველოს დედაქალაქ თბილისს თავს დაესხა თავისი ველური ურდოებით თანამედროვე ფაშისტ მტრის ჰიტლერის პროტოტიპი — სისხლისმსმელი მხეცი აღა-მაჰმად-ხანი.

„ბევრი ყოფილა დამპყრობელი, — სწერს ი. ხონელი,—ბევრს აუკლია ამიერ-კავკასია, ბევრს გაუკვირვებია მსოფლიო თავისი სისასტიკით, მაგრამ არავისი თავდასხმა არ ყოფილა ისე მწვავედ შეურაცხმყოფელი, როგორც თავდასხმა ამ გვირგვინოსანი მახინჯისა, ყველაზე საზიზღარი მხეცისა, რომელსაც კი ოდესმე ადამიანის სახე მიუღია“. თბილისი მთლად დაანგრიეს. მრავალი ათასი ადამიანი აწამეს და სიკვდილით დასაჯეს, დედების თვალწინ ხოცავდნენ ბავშვებს. 16 ათასზე მეტი ახალგაზრდა ქალი და ბავშვი ტყვედ წაიყვანეს.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველო შეუერთდა რუსეთს. ამიერიდან ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიული ბედიღბალი დიდი რუსი ხალხის ბედიღბალს დაუკავშირა.

რუსეთში ბოლშევიზმის წარმოშობის პირველი დღეებიდანვე მარქს-ენგელს-ლენინის დიადმა იდეებმა იწყო საქართველოში შემოღწევა. პეტერბურგის მუშებსა და საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარიატს შორის მტკიცე და ურღვევი მეგობრობა დამყარდა. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილება: ი. ბ. სტალინი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე და სხვ. თავიდანვე დადგნენ ლენინის დროშის ქვეშ.

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სტალინი. რომელიც „განიმსჭვალა უსაზღვრო რწმენით ლენინის რევოლუციური გენიისადმი და დაადგა ლენინის გზას. მას არასოდეს არ გადაუხვევია ამ გზიდან და ლენინის სიკვდილის შემდეგ გაბედულად და მტკიცედ განაგრძობს მის საქმეს“. საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელებმა თავისი წრიდან მოგვცეს მრავალი ათასი მებრძოლი ცარიზმის წინააღმდეგ, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების წინააღმდეგ, და სახელოვანი ფურცლები ჩასწერეს პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში.

რუსეთში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საქართველოში ძალაუფლება ხელთ იგდეს მენშევიკებმა და ქართველ ხალხს უცხოელ იმპერიალისტთა უღელი დაადგეს. ეყრდნობოდნენ რა ინტერვენტებს და ფაქტიური კავშირი ჰქონდათ რა რუსეთის თეთრგვარდიელებთან, მენშევიკები განამტკიცებდნენ საქართველოში კაპიტალისტურ წყობილებას. მათ საშინელი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისათვის განწირეს ხალხის მასები.

ქართველმა ბოლშევიკებმა, რომლებიც აღიზარდნენ და ბრძოლებში გამოიბრძმედნენ სტალინის ხელმძღვანელობით, არალეგალური მუშაობის უძნელეს პირობებში მოაწყეს მშრომელი მასების ბრძოლა მენშევიკთა და ინტერვენტთა ძალაუფლების წინააღმდეგ.

რუსი ხალხისა და მისი წითელი არმიის ძმური დახმარებით საქართველოს მუშებმა და გლეხებმა 1921 წლის თებერვალში დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც ამიერკავკასიაში წითელი არმიის უშუალო ხელმძღვანელი იყო, ლენინსა და სტალინს აცნობა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით აღინიშნა ახალი ერა, ეს იყო ქართველი ხალხის, მისი შემოქმედებითი ძალების ნამდვილი, სრული განთავისუფლების დასაწყისი.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად ამ წლებში საქართველო გადაიქცა დიადი საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად მსხვილი მრეწველობითა და აყვავებული სასოფლო მეურნეობით.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი განვითარება. საქართველოს სსრ მსოფლიოს ერთერთი ულამაზესი და უბედნიერესი კუთხეა. ქართველ ხალხს ერთერთი ყველაზე საპატიო ადგილთაგანი უჭირავს სსრ კავშირში. 1936 წელს, საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავთან დაკავშირებით დელეგაციის მიღებისას, ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა სთქვა: „ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს კაცობრიობის ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ მოგვცა ჩვენ ამხანაგი სტალინი“.

ოთხ თვეზე მეტია საბჭოთა ხალხი ეწევა დიდ სამამულო ომს გერმანელი ფაშისტების, მთელი პროგრესიული კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრების წინააღმდეგ. გამხეცებული მტერი, რომელმაც თავი მოუყარა თავზეხელაღებულ ყაჩაღთა და ბანდიტთა ველურ ურდოებს, ფეხქვეშ სთელავს მის მიერ დროებით დაკავებულ ჩვენს მინდვრებსა და ყანებს, ანგრევს ქალაქებსა და სოფლებს, სჩადის საშინელ ძალადობას საბჭოთა ადამიანების მიმართ, ცდილობს მოსპოს საბჭოთა ხალხების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მოსპოს მათი სახელმწიფოებრიობა და კულტურა.

თავის ნაბოდვარ და უსაზიზღრეს უბადრუკ წიგნში „ჩემი ბრძოლა“, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „კაცაჭამიების ბიბლია“, პირსისხლიანმა ჰიტლერმა გამოსთქვა თავისი აგაზაკური ზრახვები მთელი მსოფლიოს დაპყრობისა და პირველ რიგში საბჭოთა ხალხების დამონებისა.

თუ რა ბედს განუმზადებს ჰიტლერი „ევროპაში ახალი წესრიგის“ დამყარების შედეგად ყველა არაგერმანული წარმოშობის ხალხს, ეს სჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

„გერმანული ბირთვის გარშემო უწინარეს ყოვლისა იქნება აღმოსავლეთ ევროპის კონფედერაცია — პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები, უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები, უკრაინა, ვოლგისპირი, საქართველო. ეს, უეჭველია, ფედერაცია იქნება, მაგრამ მისი წევრები, რა თქმა უნდა, გერმანელებთან თანასწორუფლებიანი არ იქნებიან. კავშირი მეორეხარისხოვანი ხალხებისა, რომლებსაც არა ჰყავთ არმია, რომლებიც არ აწარმოებენ საკუთარ პოლიტიკას, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ეკონომიკა,—აი რა იქნება ეს ფედერაცია“.

მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. თავისუფალ და დამოუკიდებელ საბჭოთა ხალხებს ესმით, თუ რა მძიმე მძვინვარე მტერთან ბრძოლა, მაგრამ ისინი არასოდეს არ იქნებიან მონები. მათ მტკიცედ სწამთ თავისი ძალა და თავისი გამარჯვება გერმანელ ფაშისტ ინტერვენტებზე.

მრავალი მილიონი საბჭოთა ადამიანი, წითელი არმია, წითელი ფლოტი, სახალხო მოლაშქრენი და პარტიზანები აკავებენ მტრის შემოტევას, იცავენ მშობლიურ მოსკოვს, პროლეტარული რევოლუციის აკვანს — ლენინგრადს, იცავენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს და თავისი სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

უდიდესი საფრთხის წინაშე, როდესაც წყდება საბჭოთა ხელისუფლების ბედი, ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად იბრძვის, რათა დაიცვას თავისი სამშობლო ჰიტლერის შემოსევისაგან. ქართველი ხალხის საუკუნეებით გამომუშავებული საბრძოლო ტრადიციები, მისი მებრძოლი სული ახლა განსაკუთრებული ძალით მჟღავნდება საბჭოთა პატრიოტიზმში.

საბჭოთა ხალხი, წითელი არმია ამაყად იცნობს მეთაურებს, წითელარმიელებს, მფრინავებს, ტანკისტებს, არტ[ი]ლერისტებს, მეზღვაურებს — ნაზი[…] შვილს, წურწუმიას, გვენეტაძეს, ქ[…] კაურს, ლესელიძეს, ზუმბულიძეს აბ[…] ლაძეს, კასრაძეს და ბევრ სხვას, რომ[…] ლებმაც ფაშისტ ბარბაროსების წინაა[ღ]მდეგ ბრძოლაში ნამდვილი ვაჟკაცობ[ა], გამბედაობა, გულადობა და უშიშრო[ბა] გამოიჩინეს. დგება 24 წლისთავი ო[ქ]ტომბრის დიდი სოციალისტური რევო[…] ლუციისა, რომელიც მოახდინა პროლე[…] ტარიატმა ლენინ-სტალინის გმირულ[ი] პარტიის ხელმძღვანელობით, მთელ[ი] მშრომელი ხალხის დახმარებით.

„ახლა ჩვენ,—ამბობდა ოქტომბრის გ[ა]დატრიალების შემდეგ ლენინი,—ისტ[ო]რიული ნაგვისაგან გაწმენდილ გზაზ[ე] ავაგებთ სოციალისტური საზოგადოები[ს] მძლავრ, ნათელ შენობას. იქმნება ახ[ა]ლი, ისტორიაში უნახავი, ტიპი სახელ[…] მწიფო ხელისუფლებისა, რომელიც რ[ე]ვოლუციის ნებით მოწოდებულია გა[…] წმინდოს დედამიწა ყოველგვარი ექ[ს]პლოატაციისაგან, ძალადობისა და მონო[…] ბისაგან“.

სოციალისტური საზოგადოების მძლა[ვ]რი, ნათელი შენობა, რომელზეც ლაპ[ა]რაკობდა ლენინი, აგებულია. ფაშის[ტ] ბარბაროსები ხელჰყოფენ ჩვენი ქვეყნ[ის] მშრომელთა ოქტომბრის დიად მონ[ა]პოვარს. საბჭოთა კავშირის ხალხებ[ი] დიდი ბელადისა და მასწავლებლი[ს] ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობი[თ] გაიღებენ ყოველგვარ მსხვერპლს, აიტ[ა]ნენ ყოველგვარ სიძნელესა და გაჭირ[ვ]ებას, რათა დაიცვან დიდი ოქტო[მ]ბრის სოციალისტური რევოლუციის მო[…] ნაპოვარნი ჰიტლერის შემოსევისაგან.

შევხვდეთ ოქტომბრის წლისთავ[ს] ფრონტისათვის დახმარების გაძლიერე[…] ბით. „ახლა დადგა ჟამი, როდესაც მთე[ლი] ლი ჩვენი ძალა, მთელი ჩვენი ენერგი[ა], მთელი ჩვენი უნარი და ყურადღე[ბა] დაუზოგავად უნდა მოვახმაროთ ფრონტ[ს], წითელ არმიასა და წითელ ფლოტ[ს], რათა შევაჩეროთ მტერი, შევმუსრო[თ] იგი და ჩვენი მიწა-წყლიდან გავაძევოთ“.

(„პრავდის“ 28 ოქტომბრის მოწინავე[ი]დან).

ხუთწუთიანი დუმილი გერმანელების მიერ დახვრეტილ ფრანგ ნამდვილთა ხსოვნის აღსანიშნავად

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში, თავისუფალი საფრანგეთის შტაბის სადგომში გუშინ ჩატარებულ იქნა ხუთწუთიანი დუმილი ნიშნად ყველა იმ ფრანგთან სოლიდარობისა, რომელთაც ამ საშუალებით სურთ გამოხატონ თავიანთი პროტესტი ოკუპირებულ საფრანგეთში გერმანელთა ბარბაროსული მოქმედების წინააღმდეგ. გენერალი დე გოლი თავისუფალი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის 6 წევრის თანხლებით გამოვიდა თავისი კაბინეტიდან 15 საათსა და 58 წუთზე. 5 წუთის განმავლობაში იდგა თავისი ბიუროს მისაღებ ოთახში „სმენას" მდგომარეობაში. ამავე დროს 5 წუთის განმავლობაში ფრანგების მსგავსად გაჩუმებული იდგნენ მთელი არმიის ჯარისკაცები, მეზღვაურები და მფრინავები. ინგლისის ფლოტის ხომალდებმა და მოკავშირეთა — ფრანგების, ბერძნების და იუგოსლაველთა ხომალდებმა 31 ოქტომბერს 16 საათზე სამგლოვიარო ბაირაღები აღმართეს და მათაც ჩაატარეს 5 წუთიანი დუმილი სიკვდილით დასჯილ ფრანგ პატრიოტთა ხსოვნის აღსანიშნავად.

რუზველტის განცხადება მორიგ პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი. მორიგ პრეს-კონფერენციაზე რუზველტი შეეხო ამერიკის საესკადრო ნაღმოსან „რუბინ ჯეიმსის" ჩაძირვას და აღნიშნა, ამ გემის ჩაძირვის დაწვრილებითი ცნობები ჯერ კიდევ არ არისო. რუზველტმა უარი განაცხადა პასუხი გაეცა კითხვაზე—ჩასძირეს თუ არა ამერიკის სამხედრო გემებმა გერმანიის წყალქვეშა ნავებიო. პრეზიდენტმა მიუთითა, რომ წარსული ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატები იმ წესს იცავდნენ, რომ არ გამოექვეყნებინათ ცნობები გერმანიის წყალქვეშა ნავებისა და რეიდერების ჩაძირვის შესახებ. მან აღნიშნა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავების ჩაძირვის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა სიძნელეებს უქმნის გერმანიის სამხედრო საზღვაო ფლოტს.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ამერიკის საესკადრო ნაღმოსანი „რუბინ ჯეიმსი" ჩასძირეს

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ისლანდიის სანაპიროსთან ტორპედირებულ იქნა ამერიკის საესკადრო ნაღმოსანი „რუბინ ჯეიმსი". ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს გადმოცემით, საესკადრო ნაღმოსანი ჩაძირულ იქნა 29 ოქტომბერს ღამით.

საესკადრო ნაღმოსან „რუბინ ჯეიმსის" ეკიპაჟის ბედი

ვაშინგტონი, 1 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ჩაძირულ საესკადრო ნაღმოსან „რუბინ ჯეიმსის" ეკიპაჟის 44 წევრი გადარჩენილია. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ არსებული ცნობებით, საესკადრო ნაღმოსნის მთელი ეკიპაჟი 120 კაცისაგან შესდგებოდა.

დაწვრილებითი ცნობები ამერიკის გემ „რობინ მურის" ჩაძირვის შესახებ

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" გადმოგვცემს, ინგლისელმა მეზღვაურმა, რომელიც ამერიკის გემ „რობინ მურის" ეკიპაჟიდან გადარჩა, განაცხადა, რომ გემს ტორპედი ესროლა გერმანელთა ეკიპაჟმა, რომელიც საფრანგეთის წყალქვეშა ნავ „ლა ტუშზე" იმყოფებოდა.

საესკადრო ნაღმოსან „კერნზე" თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ნოქსმა განაცხადა, რომ 16 ოქტომბერს ღამით საესკადრო ნაღმოსანმა „კერნიმ", რომელიც სავაჭრო გემებს ჰბადრაგობდა, მიიღო უბედურების სიგნალი სხვა ბადრაგისაგან, რომლებზედაც იერიში მიიტანა გერმანიის რამდენიმე წყალქვეშა ნავმა. თავდასხმის ადგილზე მისვლისას „კერნიმ" სავაჭრო გემების დასაცავად რამდენიმე სიღრმის ბომბი ჩააგდო; ამის შემდეგ მას ორი ტორპედი ესროლეს, რომელთაგან ერთი აფეთქდა საესკადრო ნაღმოსნის წინ, ხოლო მეორე — კიჩოს იქით. მესამე ტორპედი შპილბორტში დაეცა სამეცეცხლურის მახლობლად. საქვაბე განყოფილება წყლით აივსო. სამეცეცხლურის ქვეშ გემბანი დანგრეულია. ეკიპაჟიდან 11 კაცი მოკლულია (უწინ გადმოცემული იყო, რომ ეს 11 კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგაო), 2 კაცი მსუბუქად დაიჭრა.

საესკადრო ნაღმოსანს ჰქონდა მეორე სამეცეცხლური, რის მეოხებითაც მან სხვის დაუხმარებლად მიაღწია ნავსადგურს.

გერმანელი ფაშისტები უმაგალითო სისასტიკეს იჩენენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი

ლონდონი, 3 ნოემბერი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა სააგენტომ მიიღო ცნობები, რომ გერმანელი ფაშისტები უმაგალითო სისასტიკეს იჩენენ ნორვეგიაში მყოფ საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი. სამხედრო ტყვეებს სრულიად არ აძლევენ საჭმელს, ისინი იძულებული არიან ნაგვის ყუთებში ჰქექონ და ეძებონ საჭმლის ნარჩენი, რომელსაც გერმანელი ჯარისკაცები ჰყრიან. საბჭოთა ტყვეებს გერმანელები არაჩვეულებრივი სიმკაცრით ეპყრობიან.

ინგლისისა და ღერძის სახელმწიფოების ავიაციის დანაკლისი ოქტომბერში

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ოქტომბერში ღერძის სახელმწიფოთა საჰაერო ძალებმა ინგლისში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში დაჰკარგეს სულ 122 თვითმფრინავი. ამ რიცხვში შედის 3 თვითმფრინავი, რომელთა მოსპობაც საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა. ამავე პერიოდში ინგლისის საჰაერო ძალებმა დაჰკარგეს 184 თვითმფრინავი. ინგლისში ღერძის სახელმწიფოებმა დაჰკარგეს 23 თვითმფრინავი, ინგლისის საჰაერო ძალებმა კი მხოლოდ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგეს. ევროპაში ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 142 თვითმფრინავი, ღერძის სახელმწიფოებმა კი 78. ახლო აღმოსავლეთში ინგლისმა დაჰკარგა 41 თვითმფრინავი, ღერძის სახელმწიფოებმა—13.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ავიაციამ ჩრდილოეთ საფრანგეთში დაბომბა ელექტროსადგური, სამრეწველო ნაგებობანი, რკინიგზები და კარჭაპები.

ჩამოყრილმა ყუმბარებმა ცეცხლი გაუჩინეს აგრეთვე კაბოტაჟური ნაოსნობის 3 გემს. 31 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ობიექტებს ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში. სანაპირო დაცვის თვითმფრინავებმა კვლავ მრავალი წარმატებით იერიში მიიტანეს მტრის გემებზე ნორვეგიის სანაპიროს მახლობლად და ფრიზის კუნძულების რაიონში. ბომბები პირდაპირ მოხვდა 10 გემს, მათ შორის 1 ტანკერს, დიდი ტონაჟის დიდ გემს და ერთ მობადრაგე გემს.

იმავე ღამით მტრის თვითმფრინავებმა რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ბომბებს მსხვერპლი და ზარალი არ გამოუწვევია.

ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისის თვითმფრინავებმა 29 ოქტომბერს, ღამით დაბომბეს ტრიპოლი, ბენგაზი, ტმიმი და ბარდია ლიბიაში და აგრეთვე ჰერაკლიონი და სუდის ყურე კრეტაში. ზიერ რაიონში ბომბები პირდაპირ მოხვდა რკინიგზის შენობებს, ნავსადგურში მდგომ გემებს და სხვადასხვა ნაგებობას.

ფაშისტური ტერორი საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთში ფაშისტური ტერორი გრძელდება. გერმანიის ჯარები და საფრანგეთის პოლიცია სჩხრეკენ ყოველ სახლს ნანტში და ცდილობენ აღმოაჩინონ გერმანელ გენერალ ჰოლცის მკვლელი. ქალაქის მცხოვრებთ აკრძალული აქვთ ნანტიდან გამგზავრება. ძებნას შედეგი არ მოაქვს, რაც უფრო მეტად აფეთრებს ნაცისტებს. მასობრივი ჩხრეკა მიმდინარეობს მთელს საფრანგეთში.

ინგლისის ქალების მიმართვა საბჭოთა კავშირის ქალებისადმი

ლონდონი 1 ნოემბერი (საკდესი). ამ დღეებში ინგლისელ ქალთა დელეგაცია „წვია საბჭოთა კავშირის ელჩს ინგლისში ამხ. მაისკის და გადასცა მას ტყავის ყდიანი 2 ტომი. ამ ტომებში შეგროვილია ნიუკასლის რაიონის ქალთა რამდენიმე ათასი ხელმოწერა, რომლებიც ლენინგრადელ ქალებს მიესალმებიან. წიგნი იწყება ქალაქ ნიუკასლის მერი ქალის ედიტ რასელის მიმართვით. რასელი აცხადებს, რომ ინგლისელი ქალები „თქვენთან მხარდამხარ დგანან და იზიარებენ თქვენს გადაწყვეტილებას დაამარცხოთ მტერი".

წიგნი გადასცა მეორე დელეგაციამაც, რომელიც კემბრიჯის სხვადასხვა ლეიბორისტულ და ტრედუნიონისტულ ორგანიზაციათა წარმომადგენელი ქალებისაგან შესდგებოდა. წიგნი შეიცავს კემბრიჯის მოსახლეობის უამრავ მიმართვას საბჭოთა კავშირის ხალხისადმი. ეს მიმართვები ჩაწერილია საბჭოთა ფერწერის გამოფენაზე, რომელიც ამასწინათ გაიხსნა კემბრიჯში ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის კვირეულის დროს.

ელეონორა რუზველტის მიმართვა სსრ კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხზე შემდგარი მიტინგისადმი

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). ელეონორა რუზველტმა მოწოდებით მიმართა რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენისადმი მიძღვნილ მიტინგს, რომელიც ნიუ-იორკის მედისონ-სკვერ-გარდენში შესდგა. მიმართვაში ნათქვამია: „მე დიდად ვაფასებ იმ დიად განძს, რომელიც რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში შეაქვთ ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენლებს, არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებს, აგრეთვე მთავრობის წარმომადგენლებს. მოხარული ვარ, რომ ეს დახმარება არ განისაზღვრება სამხედრო საჭიროებათა დაკმაყოფილებით, არამედ სამოქალაქო მოსახლეობაზედაც ვრცელდება. გმირი რუსი ხალხი იბრძვის თავისი სახლ-კარისათვის, ისეთი სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც მთელი კაცობრიობის დამონება უნდოდა. გულწრფელად მახარებს, რომ ამერიკელი ხალხი შეუერთდა ამერიკის წითელი ჯვრისა და მთავრობის წარმომადგენლებს, ვინც ამჟამად ეხმარება რუსეთსა და სხვა ქვეყნებს, რომლებიც იმ საფრთხის წინააღმდეგ იბრძვიან, რაც ჩვენს თავისუფლებას ემუქრება".

ბელგიის შანხაელი კონსულის განცხადება

შანხაი, 1 ნოემბერი (საკდესი). ბელგიის შანხაელმა კონსულმა განაცხადა, რომ მთელი მსოფლიო მოწმეა იმისა, რომ მთელი რუსი ხალხი აღსდგა თავის სამშობლოს დასაცავად ნაცისტი ბარბაროსებისაგან. ჩვენ, ბელგიელები, სთქვა კონსულმა, ვისი ქვეყანაც უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უკვე მეორეჯერ იტანჯება მტრის ოკუპაციისაგან, ჩვენს სიმპატიასა და აღფრთოვანებას ვუცხადებთ რუსეთის არმიას, რომელიც მტერს გმირულ წინააღმდეგობას უწევს. იბრძვის რა თავისი სამართლიანი საქმისათვის, რუსი ხალხი აგრეთვე იცავს მსოფლიოს ყველა იმ ხალხის საერთო საქმეს, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ თავიანთი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ლიონ ფეიხტვანგერის წერილი

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი (საკდესი). ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ლიონ ფეიხტვანგერმა საკდესის განყოფილებას შემდეგი წერილი გაუგზავნა:

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნაცისტური რეჟიმის ბრძოლა ყველაზე რეაქციული სახელმწიფოს ბრძოლაა ყველაზე პროგრესიული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვინც თავის თავზე გამოსცადა საბჭოთა კავშირის კეთილგონივრული ძალა და ნაცისტური გერმანიის შავბნელი, უგუნური ძალა, იმას არასოდეს არ შესდიოდა ეჭვი, თუ რით გათავდება ახლანდელი ბრძოლა.

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე ჩვენ ბედნიერნი ვართ აღვნიშნოთ, რომ რაც უნდა მძიმედ გვეჩვენებოდეს ბრძოლა, ნაცისტებზე საბჭოების საბოლოო გამარჯვება უეჭველია.

ბატის განცხადება

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი (საკდესი). სამი სახელმწიფოს მოსკოვის კონფერენციის ამერიკის დელეგაციის წევრმა ბატტმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში მოუწოდა ყოველმხრივი და სწრაფი მატერიალური დახმარება გაუწიონ საბჭოთა კავშირს. მან რწმენა გამოსთქვა, რომ სსრ კავშირი დაამარცხებს გერმანიას. ბატტმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის საომარ ღონისძიებებს, საბჭოთა სამხედრო მრეწველობას, საბჭოთა მუშების ცოდნასა და კვალიფიკაციას.

ახალი ზელანდიის ჯარისკაცთა ასოციაციის დეპეშა ამხ. მაისკისადმი

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ველინგტონიდან იტყობინება, ახალი ზელანდიის ჯარისკაცთა ასოციაციამ საბჭოთა ელჩს ლონდონში ამხ. მაისკის გაუგზავნა დეპეშა, სადაც გამოსთქვამს უდიდეს აღტაცებას იმ გმირული წინააღმდეგობით, რომელსაც სსრ კავშირი უწევს მტრის თავდასხმას.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

რომში რამდენიმე პასუხისმგებელ ფაშისტ მოღვაწეს სცემეს

ბერნი, როგორც აქ შეიტყეს, 28 ოქტომბერს, მუსოლინის ფაშისტური რაზმების რომზე გალაშქრების წლისთავთან დაკავშირებით გამართული მანიფესტაციის დროს რომში მთელი რიგი ინციდენტები მოხდა. მანიფესტანტებმა სცემეს რამდენიმე პასუხისმგებელ ფაშისტ მოღვაწეს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ხალხთან საუბრების ჩატარება. ნაცემ ფაშისტთა შორის არის ქალაქ რომის ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე. რომის ქუჩებში შავხალათიანთა რაზმების გავლისას ანტიფაშისტური შეძახილები გაისმოდა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

სასურსათო მდგომარეობა გერმანიასა და ოკუპირებულ ქვეყნებში

სტამბოლი, 1 ოქტომბერი (საკდესი). შვეიცარიული გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი" გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში არსებული სასურსათო მდგომარეობისადმი მიძღვნილ სტატიაში სწერს, რომ ამ პრობლემის გადაჭრისას სერიოზულ სიძნელეებს აწყდებიან. გაზეთის აზრით, ევროპის 350 მილიონი მცხოვრები სიმშილის კარზეა. სურსათის განსაკუთრებით მწვავე ნაკლებობა თავს იჩენს ზამთრის მიწურულს, როდესაც უკანასკნელი მოსავლის კარტოფილიც გამოილევა. საკვების შემოუზიდაობა 100 ათასი სული საქონლის მოსპობას გამოიწვევს. გერმანიაში შეამცირებენ მთელი რიგი პროდუქტების გაცემის ნორმას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნებიდან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ნორვეგია, საბერძნეთი, სერბია, ბელგია და ფინეთი, აგრეთვე შვეცია, სადაც წელს მოსავალი ყველაზე ნაკლები იყო უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში.

კარტოფილის, გერმანელთა ამ ძირითადი საკვები პროდუქტის მოსავალი წელს გერმანიაში შეადგენდა 75 მილიონამდე ტონას, ე. ი. 5 მილიონით ნაკლებს, ვიდრე შარშან. ამასთან აღსანიშნავია, რომ გერმანიის სასურსათო სამინისტროს განცხადებით, გერმანია ამჟამად 75 პროცენტით მეტ კარტოფილს ხმარობს, ვიდრე ომამდე ხმარობდა. გერმანელი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ წელს კარტოფილი ჩვეულებრივზე მეტ წყალს შეიცავს და ადვილად ლპება.

წელს გერმანიაში ბოსტნეულის მოსავალი ნორმალურია, მაგრამ მუშა ძალისა და ტრანსპორტის საშუალებათა უქონლობის გამო მათი აღება და გადაზიდვა რთულ პრობლემას შეადგენს. საერთოდ,—სწერს გაზეთი, — მდგომარეობა გერმანიაში არაა სახარბიელო, ხოლო მის „მოკავშირეთა" მდგომარეობას შეიძლება კატასტროფული ვუწოდოთ. ამასთან „მოკავშირეებმა" სურსათი უნდა მიაშველონ გერმანიას. ერთი უნგრელი მოღვაწის ცნობით, — სწერს გაზეთი, — „მდიდარი" უნგრეთი შიმშილობს, იმიტომ, რომ მას გერმანიაში გააქვს დიდძალი ცხიმეული, ხორცი და კვერცხი.

გერმანიის არმიას ავტომობილები არა ჰყოფნის

ლონდონი, 2 ნოემბერი (საკდესი). დამოუკიდებელი ბელგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, გერმანიის საოკუპაციო ხელისუფალნი ავტომობილების იმდენად მწვავე ნაკლებობას განიცდიან, რომ ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში მყოფ გერმანელთა საოკუპაციო ჯარების სარდალმა განკარგულება გამოაქვეყნა, რომლის თანახმად ავტომანქანების შეძენის პირველი რიგის უფლება მინიჭებული აქვთ სამხედრო ხელისუფალთ. იმ პირთ, რომლებიც ბელგიაში ცხოვრობენ ან ბელგიაში გაივლიან, ავტომობილების შეძენა შეუძლიათ მხოლოდ გერმანიის სამხედრო ხელისუფალთა სპეციალური ნებართვით. ეს განკარგულება ეხება არა მარტო კერძო პირთ, არამედ საავტობუსო კომპანიებსაც, რომლებიც ტვირთზიდვას ეწევიან, და გერმანიის ყველა ორგანიზაციას, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ არმიასთან. განკარგულების დარღვევა პატიმრობით, ჯარიმითა და ავტომობილების კონფისკაციით ისჯება.

საფრანგეთში გერმანიის საოკუპაციო ჯარების რაოდენობა შეამცირეს

ლონდონი, 30 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ ქრონიკლი" იუწყება, გერმანელებმა ძალზე შეამცირეს დასავლეთ საფრანგეთში თავისი საოკუპაციო ჯარის რაოდენობა. 20 დივიზიისაგან შემდგარი ჯარი, რომელსაც 1940-41 წლის ზამთარ-შემოდგომის პერიოდში ინგლისში შესევისათვის ამზადებდნენ, საბჭოთა საზღვრისაკენ გადაიყვანეს. ორი თვის წინათ ბრეტანში საოკუპაციო ჯარის რაოდენობა, მიმდინარე წლის გაზაფხულთან შედარებით, მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენდა. საფრანგეთში დატოვებული მთელი ჯარი, მცირე გამონაკლისის გარდა, განუწყვეტლივ გადაჰყავ-გადმოჰყავთ და ადგილმყოფობას უცვლიან, რათა შთაბეჭდილება შექმნან, ვითომ საფრანგეთში გერმანელთა ჯერ კიდევ დიდი ძალები დარჩა. არსებითად ეს არმია მოხელეებისაგან, სათადარიგოებისა და ქალებისაგან შესდგება.

გერმანელები უზრუნველჰყოფენ თავიანთ მეხუთე კოლონას ხორვატიაში

ჟენევა, 2 ნოემბერი (საკდესი). როგორც აქ გამოირკვა, 30 ოქტომბერს ეგრეთწოდებული ხორვატიის მთავრობის თავმჯდომარე პაველიჩმა შეთანხმება დასდო გერმანიის მთავრობასთან ხორვატიის გერმანელთა უმცირესობის ხელმძღვანელის უფლებათა შესახებ. წინათ შეთანხმება დასდეს გერმანელთა სახალხო ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობისა და ხორვატიის გერმანული სკოლების შესახებ. ეს შეთანხმებანი ხორვატიის გერმანელთა უმცირესობას იმ უფლებებს ანიჭებს, რომლებითაც ხორვატები არა სარგებლობენ. გერმანელთა უმცირესობის ხელმძღვანელი, არ ემორჩილება ხორვატიის მთავრობას, გარდა თვით ხორვატიის სახელმწიფოს ხელმძღვანელ პაველიჩისა. გერმანელთა უმცირესობის ხელმძღვანელს უფლება აქვს პირადად გამოსცეს კანონები და განკარგულებანი. იქ, სადაც გერმანელთა მოსახლეობა 20 პროცენტს შეადგენს, ოფიციალური ენა გერმანული და ხორვატულია. ოფიციალურ განცხადებებს, პუნქტებისა და ქუჩების სახელებს ორ ენაზე—გერმანულსა და ხორვატულზე ადგენენ.

ლათინურ ამერიკაში შეადგინეს „რუხი სია" იმ პირებისა და კონცერნებისა, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ღერძის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებმა ამ უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ვაშინგტონსა და ლათინურ ამერიკაში შეადგინეს ეგრეთწოდებული „რუხი სია" იმ პირებისა და კონცერნებისა, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ ისინი ღერძის სახელმწიფოთა კომერციული კომპანიების საიდუმლო წარმომადგენლები არიან.

ლათინურ ამერიკაში ეს სია წარმოადგენს გერმანელთა კონცერნებისა და ლათინური ამერიკის იმ კონცერნების „შავი სიის" დამატებას, რომლებიც ვაჭრობას ეწევიან ღერძის სახელმწიფოებთან; ეს „შავი სია" რუზველტმა 17 ივლისს გამოაქვეყნა. ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის ლიცენზიებს არ მისცემენ „რუხ სიაში" შეტანილ პირებსა და კონცერნებს, ამასთანავე იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირებსა და კონცერნებს ღერძის სახელმწიფოებთან ურთიერთობა დაუმტკიცდებათ, მათ „შავ სიაში" შეიტანენ.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, წუხელ ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას. ბომბდამშენთა დიდმა შენაერთმა ბომბი დაუშინა ჩრდილოეთ გერმანიის მთელ რიგ პუნქტებს, მათ შორის ჰამბურგისა და ბრემენის ნავსადგურებს.

თავდასხმა მოეწყო აგრეთვე დიუნკერკისა და ბულონის დოკებზე. ინგლისის 6 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

ოლესუნდზე ინგლისის ავიაციის თავდასხმასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც მოწინააღმდეგის 7 გემი ჩაიძირა და დაზიანდა, ავიაციის მინისტრმა სანაპირო ავიაციის უფროსს ავიაციის მარშალ ფილიპ ჯუბერტს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც ბრწყინვალე მიღწევა მიულოცა მას. ავიაციის სამინისტროს ცნობით, 29 ოქტომბერს ტრიპოლზე მძიმე ბომბდამშენთა თავდასხმის დროს მეტად დიდი წონის ბომბები ჩამოჰყარეს. ცეცხლგამჩენი და ფუგასური ბომბებით დანგრეულია მრავალი შენობა, რომელთა ნამსხვრევები ყოველი მიმართულებით გაიფანტა.

საშუალო ზომის ბომბდამშენთა პილოტები, რომელნიც 29 ოქტომბერს დღისით კალაბრიის სამხედრო ობიექტებზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ, იუწყებიან, რომ მათ ზღვის ნაპირზე დიდძალი ხალხი დაინახეს, რომელიც ხელის ქნევით მიესალმა მათ.

საბჭოთა ფილმების ჩვენება ინგლისში

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). ლონდონის დასავლეთი ნაწილის ერთერთ კინოთეატრში გაიხსნა „ინგლის-საბჭოთა კავშირის ფილმების სეზონი". პირველ პროგრამაში შეტანილია: „ალექსანდრე ნეველი", კინოჟურნალები და მულტიპლიკაციური ფილმები. ინგლისური გაზეთების რეცენზენტებმა, რომლებიც გასინჯვას ესწრებოდნენ, დიდად მოიწონეს ფილმი „ალექსანდრე ნეველი". „მანჩესტერ გარდიენის" სიტყვით, ეიზენშტეინმა შესძლო საოცარი სანახაობის შექმნა, „ეს გენიალური კინორეჟისორის ნაშრომია,—სწერს გაზეთი,—ფილმის ბატალური სცენები ფანტასტიკური, რთული და თვალწარმტაცია".

„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან" გრიბოედოვის თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში: ი. ბოდროვი (ლუკონინი) და ვ. ბრაგინი (ბურმინი).

„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან"

გრიბოედოვის თეატრში

კ. სიმონოვი რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდა სალიტერატურო ფრონტზე როგორც უმცროსი თაობის ერთერთი ნიჭიერი პოეტი. ამჟამად იგი სამამულო ომის ფრონტზეა ჟურნალისტად და მის კორესპონდენციებს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაზე გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ინტერესით ვკითხულობთ. თბილისის მაყურებელს საშუალება ეძლევა გაეცნოს ახალგაზრდა მწერლის შემოქმედების კიდევ ერთ დარგს — დრამატურგიას: გრიბოედოვის თეატრმა დასდგა კ. სიმონოვის პიესა „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან".

სამხედრო თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კ. სიმონოვის შემოქმედებაში. ამ პიესაშიც მთავარი გმირი და ზოგიერთი სხვა მოქმედი პირიც წითელი არმიის მეთაურებია. პიესა ომამდეა დაწერილი, მაგრამ მაყურებელი დღესაც დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოქმედებას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დრამატიულმა ნაწარმოებმა გაუძლო სამამულო ომის ცეცხლში გამოცდას.

ზუსტად რომ ვთქვათ, „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან" პიესა კი არ არის, სურათებია. ავტორი გვიჩვენებს თავისი გმირის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს. პიესის სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ავტორს უნდოდა განზოგადებული სახის შექმნა და ეს მან შესძლო. რიგითი საბჭოთა ჭაბუკი, რომელიც გამსჭვალულია სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით, ისე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, და სავსეა ცეცხლოვანი ენერგიით, რაც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის ახალი თაობისათვის, — შესანიშნავ მეთაურად იქცევა. მისი დაუცხრომელი მამაცობა, გამბედაობა და ინიციატივა დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებით.

პიესის გმირს ლუკონინს ჩვენ ჯერ ვხედავთ სამხედრო სამსახურის დაწყებამდე, შემდეგ იგი სატანკო სკოლის კურსანტია. შემდგომში ლუკონინი საბრძოლო ოპერაციების მონაწილეა შორეულ აღმოსავლეთში. მაყურებელს იზიდავს ლუკონინის უდრეკი ნებისყოფა ტყვეობის მძიმე დღეებში, მისი თავდადება, მხედართმთავრული ოსტატობა ბრძოლის ველზე და ამავე დროს დიდი ადამიანური გული. და როცა ერთერთ სცენაში მაყურებელი გაიგონებს ცნობას ლუკონინის დაღუპვის შესახებ (შემდეგ გამოირკვევა, რომ ცნობა სწორი არ იყო), დარბაზში საერთო ამოოხვრა გაისმის, თითქოს ლაპარაკი იყოს მახლობელ ცოცხალ ადამიანზე.

ლუკონინის საბრძოლო მოღვაწეობასთან ერთად ავტორი მთელი პიესის მანძილზე გვიჩვენებს გმირის პირად ცხოვრებას, რაც გამოხატულია მის დამოკიდებულებაში ერთგულ მეგობარ ვარიასთან. ეს ლუკონინის სახეს კიდევ უფრო მეტ სითბოს აძლევს.

ი. ბოდროვი ლუკონინის როლს დიდი ოსტატობით ასრულებს. ყოველ ახალ სურათში ლუკონინი იზრდება, როგორც ადამიანი, როგორც მეთაური. დასაწყისში ბოდროვი გვიხატავს ლუკონინს, როგორც ფიცხელს, ჭაბუკურად თავშეუკავებელს, მაგრამ თავის ძალებში დარწმუნებულს, რომელიც გატაცებულია სამხედრო საქმის შესწავლით. თანდათანობით ლუკონინი დინჯდება. ბოდროვი გვიჩვენებს, როგორ გაიზარდა ლუკონინი უდრეკ მეთაურად, როგორ მტკიცდება მასში მამაცობა, ნებისყოფა, მიზანდასახულობა. ბოდროვი ჰქმნის მიმზიდველ სახეს, ნამდვილ საბჭოთა ადამიანს ღია სახითა და ღია სულით. დაუვიწყარია მონოლოგი ფინალში, სავსე საბჭოთა პატრიოტის შინაგანი სიძლიერითა და ღრმა რწმენით.

დიდ აქტიორულ მიღწევად უნდა ჩავთვალოთ ვ. ბრაგინის მიერ პროფესორ ბურმინის როლის შესრულება. მეცნიერი, რომელიც თავს „სავსებით სამოქალაქო პიროვნებად" სთვლის, ფრონტზე (ჰოსპიტლის უფროსად მუშაობს) დიდ სიმამაცეს იჩენს და გმირული სიკვდილით იღუპება. შეიძლება უკეთესი იქნებოდა, რომ უფრო ფართოდ გაეხსნა მსახიობს ნამდვილი მეცნიერის ხასიათი; სამაგიეროდ ბრაგინმა დიდი ჰუმორითა და თავის გმირისადმი დიდი სიყვარულით გვიჩვენა ბურმინის გულმავიწყობა და გაუბედაობა ყოველდღიურობასა და ადამიანებთან დამოკიდებულებაში. ეს საშუალებას აძლევს მსახიობს შეჰქმნას რთული, გარეგნულად წინააღმდეგობრივი, მაგრამ არსებითად დამაჯერებელი სახე.

სხვა შემსრულებელნი (ვ. ზახაროვა ვარიას, ნ. რემერი უენიას და დოლჟანოვი სევასტიანოვის როლებში) ხელს უწყობდნენ სპექტაკლის წარმატებას. ზ. მოსკვინმა, რომელიც ვანო გულიაშვილის როლს ასრულებს, სათანადოდ ვერ გვიჩვენა ქართველი მეთაურის ნაციონალური ხასიათი.

გ. ტოვსტონოგოვმა ამ სპექტაკლის დადგმით გვიჩვენა, რომ იგი სერიოზული, კულტურული რეჟისორია. კარგია მიმიკური თამაში, რომელიც თეატრს ზოგიერთ სცენებში აქვს გამოყენებული. სპექტაკლის ფინალში არ არის მოძებნილი დამაკვნელი წერტილი. ი. შტენბერგის დეკორაციები, როგორც ჩვეულებრივ, გამოირჩევიან კარგი მხატვრული გემოვნებით.

ა. ფევრალსკი.

„კიკვიძე" ქუთაისის თეატრში

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრი 5 ნოემბერს პრემიერად უჩვენებს ახალგაზრდა დრამატურგის ვ. დარასელის პიესას — „კიკვიძე". სპექტაკლს სდგამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ორდენოსანი დოდო ანთაძე. დივიზიის ლეგენდარული მეთაურის ვასილ კიკვიძის როლს შეასრულებს მსახიობი ღ. კასრაძე. პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი იუზა ზარდალიშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ცაცა ამირაჯიბი.

5 ნოემბერს სრულდება ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მუშაობის 3 წლისთავი. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა მაყურებელს უჩვენა 29 პრემიერა და 1000 სპექტაკლი.

ზემო სვანეთის თეატრში

ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრი 7 ნოემბრისათვის ამზადებს პიესას „სამშობლოსათვის". პიესას სდგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვ. მარგიანი.

თეატრი უდროტაციოდ მუშაობს. კოლექტივმა წელს უჩვენა რამდენიმე ახალი დადგმა, მათ შორის მიქავას და აბაშიძის „ბედნიერება" და ნახუცრიშვილის „კომბლე".

რ. მარგიანი.

ჯგუფური კონსულტაცია

4 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალაქის სააგიტაციო პუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ჩკოლარიას ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: „როგორ მოვაწყოთ პირველი სამედიცინო დახმარება".

ფეხბურთი

2 ნოემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ოსტატთა საჩვენებელი გუნდების ამხანაგური მატჩი.

თამაში მიმდინარეობდა დინამოელთა სრული უპირატესობით და დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით—ანგარიშით 8:3.

თეატრებში

საოპერო—4 ნოემბერს—„ტოსკა", 5 ნოემბერს — „ქეთო და კოტე", 6 ნოემბერს — „ლადო კეცხოველი", **რუსთაველის სახელობის** — 4 ნოემბერს — „პროფესორ მამლოკი", 5 ნოემბერს—„კიკვიძე", 6 ნოემბერს—„რღვევა", **მარჯანიშვილის სახელობის** — 4 ნოემბერს — „მკაცრი ქალიშვილები", 5 ნოემბერს — „ურიელ აკოსტა", 6 ნოემბერს — „ცხვრის წყარო". **სანკულტურის ქართული თეატრი** — 4 ნოემბერს — „გაგრძელება იქნება", 6 ნოემბერს — „ბრმა მუსიკოსი", 8 ნოემბერს „გაგრძელება იქნება", **გრიბოედოვის სახელობის** — 4 ნოემბერს— „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", 5 ნოემბერს —„დედინაცვალი".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და 26 კომ. სახ.—კინო-ნოველები: I „შავ მთებში", II. „ფორპოსტი", III. „სადარაჯოში", **სპარტაკი** — „საბრძოლო კინოკრებული № 4", **ლუქსემბურგის სახ.**—„საბრძოლო კინოკრებული № 3", **კომინტერნი** — „ქაჯანა", **მეცნიერება და ცოდნა** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

3 ნოემბრიდან | რუსთაველის, ოქტომბერის და 26 კომისრების სახელობის კინოთეატრებში | 3 ნოემბრიდან

კინო-ნოველები

თბილისის კინოსტუდიის ნაწარმოები

I **„შავ მთებში"** სცენარი ბელა ბალაშისა, რეჟისორი—ორდენოსანი ნ. შენგელაია, ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი, კომპოზიტორი—ა. ბალანჩივაძე, მთავარ როლებში: რესპ. სახ. არტ.—შ. დადიანი, დ. მჟავია, არტისტები—კირა ანდრონიკაშვილი, ი. გვინჩიძე, რ. სიხარულიძე, ე. აფაქიძე, დ. წერეთელი, ნ. გოგოლოვი.

II **„ფორპოსტი"** სცენარი ი. პერესტიანისა, პ. მორსკოისა და პ. ერმოლოვისა. რეჟისორი—კ. მიქაბერიძე, ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი, კომპოზიტორი—ი. გოკიელი, მთავარ როლებში: ა. ზავგოროსკი, დ. ნეგინა, ბ. ვიაზემსკი, ა. ხმირანინი.

III **„სადარაჯოში"** სცენარი ორდენოსნების კ. ლორთქიფანიძისა და ი. მოსაშვილისა, რეჟისორები—დ. ანთაძე, ხ. ჯალიაშვილი, ოპერატორი—დ. კანდელაკი, კომპოზიტორი—ხელ. დამსახ. მოღვაწე შ. მშველიძე, მხატვარი—ორდენოსანი შ. მამალაძე. მთავარ როლებში: გალინა კრავჩენკო, ნ. გოგოლოვი, ი. შაპოვალენკო.

„გლავკინოპროკატის" საქართველოს კანტორის გამოშვება

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამოშვების—3—81—65; გამომცემლობის 3—51—81. სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41430